

საქართველო: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების
დახმარებისა და კრიზისიდან გამოყვანის პროექტი

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე
ზემოქმედების მართვის ჩარჩო

პროექტი

17 მარტი, 2021

შინაარსი

1	შესავალი	1
2	პროექტის აღწერა.....	2
3	პროექტის განხორციელების მექანიზმები.....	3
4	პროექტის შესაძლო ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და მსოფლიო ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სტანდარტები	5
5	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების რისკის მართვისადმი მიდგომა პროექტის ფარგლებში	11
5.1	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების რისკის მართვა 1.1. ქვეკომპონენტის ფარგლებში	13
5.2	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების რისკის მართვა 1.2 და 1.3. ქვეკომპონენტების ფარგლებში.....	19
6	შრომითი ურთიერთობები და სამუშაო პირობები	31
7	დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა, საჩივრების მიღებისა და განხილვის მექანიზმი	34
8	მონიტორინგი და ანგარიშგება.....	35
დანართი 1.	მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ შემუშავებული გამონაკლისების ჩამონათვალი	37
დანართი 2.	გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის სკრინინგის ფორმა მიკროგრანტის პროგრამიდან (ქვეკომპონენტი 1.1).....	39
დანართი 3.	საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესახებ - “დანართი I”	41
დანართი 4.	საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესახებ - “დანართი II”	45
დანართი 5.	გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის სკრინინგის ნიმუშის ფორმა მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების ქვეპროექტებისთვის (ქვეკომპონენტები 1.2 და 1.3).....	51
დანართი 6.	ქვევის კოდექსის ძირითადი ელემენტები.....	58
დანართი 7.	ზოგადი ტექნიკური დავალება სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პროექტზე მომუშავე გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სპეციალისტისა და სოციალური სპეციალისტისთვის	60
დანართი 8.	საჩივრების მექანიზმის ზოგადი მაგალითი.....	66

1 შესავალი

1. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკა სწრაფად იზრდებოდა და ახლა ის საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნების ჯგუფს მიაკუთვნება. COVID-19-ით გამოწვეულმა გლობალურმა პანდემიამ ქვეყნის ზრდის ტრაექტორია დაარღვია, რაც საფრთხეს უქმნის როგორც ეკონომიკურ განვითარებას, ისე სიღარიბის დაძლევას. ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების მიმართულებით საქართველოს წარმატების მიუხედავად, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მმსს) დაფინანსებაზე წვდომა შეზღუდულია, რაც მუდმივად აფერხებდა ფირმების ზრდას და გადარჩენის უნარიანობას ჯერ კიდევ პანდემიამდე. დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე კვლავ ახდენს გავლენას მაკროეკონომიკური სტრუქტურული ფაქტორები, რომლებიც კიდევ უფრო გაამწვავა COVID-19-ით გამოწვეულმა კრიზისმა. აღნიშნული კრიზისი მძიმედ აისახა საქართველოში არსებულ საწარმოებზე და დასაქმებაზე. ფირმებს უჭირთ თავიანთი საქმიანობის არსებულ პირობებზე მორგება, განსაკუთრებით კი ელექტრონულ კომერციაზე გადასვლა. კრიზისმა შეიძლება გააფართოვოს ადრე არსებული გენდერული უთანასწორობა ეკონომიკური ჩართულობის თვალსაზრისით. კრიზისიდან გამოსასვლელად საჭიროა მმსს-ების განსავითარებელი გარემოს კომპლექსური გაუმჯობესება, ფინანსური შეზღუდვების შემამსუბუქებიდან დაწყებული, ახალ გარემოებებთან მოსარგები მექანიზმების ამოქმედებამდე, ტექნოლოგიების დანერგვისა და ციფრული ფინანსური მომსახურების გაფართოების ჩათვლით.
2. რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკი დათანხმდა საქართველოს მთავრობის თხოვნას სესხის გამოყოფის შესახებ მმსს-ის დახმარებისა და კრიზისიდან გამოყვანის პროექტში ინვესტირებისთვის. პროექტი ჯდება 2019-2022 წლებში მსოფლიო ბანკის საქართველოსთან პარტნიორობისთვის დადგენილ ჩარჩოში. ქვეყანასთან პარტნიორობის ჩარჩოს პირველი მიმართულებაა ინკლუზიური ზრდისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება.
3. სსიპ „აწარმოე საქართველოში“ პროექტის მთავარი განმახორციელებელი უწყებებია. მან შეიმუშავა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს პროექტით დაფინანსებული ღონისძიებების გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების მართვის სახელმძღვანელო პრინციპებს. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტი ისეა შედგენილი, რომ ხელი შეუწყოს პროექტის განხორციელების შესაბამისობას ეროვნულ კანონმდებლობასთან და უზრუნველყოს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპების სახელმძღვანელო დოკუმენტის მოთხოვნათა შესრულება.

2 პროექტის აღწერა

4. მმსს დახმარების და კრიზისიდან გამოყვანის პროექტის ამოცანაა მმსს-ების კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის მხარდაჭერა დაფინანსებასთან წვდომის გაუმჯობესების ჩათვლით.
5. პროექტი ხორციელდება ქვეყნის მასშტაბით და შედგება ოთხი კომპონენტისგან:
 - კომპონენტი 1 - მმსს-ების ფინანსური დახმარება;
 - კომპონენტი 2 - ელექტრონული გადახდების და ფინანსური ინფრასტრუქტურის განახლება;
 - კომპონენტი 3 - პროექტის მართვა და მონიტორინგი;
 - კომპონენტი 4 - გაუთვალისწინებელ საგანგებო გარემოებებზე რეაგირება
6. კომპონენტი 1-ის ამოცანაა ფირმებისთვის ფინანსური შეზღუდვების შემსუბუქება და მათი დახმარება სამეწარმეო საქმიანობის მორგებაში COVID-19-ის შემდგომი პერიოდის სცენართან.
 - *ქვეკომპონენტი 1.1* ითვალისწინებს მიკროგრანტების გაცემას მიკრო და მცირე ფირმების საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი საშუალებების დასაფინანსებლად.
 - *ქვეკომპონენტი 1.2* ითვალისწინებს პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემულ სესხებზე საპროცენტო გადახდების თანადაფინანსებას.
 - *ქვეკომპონენტი 1.3* ითვალისწინებს ნაწილობრივი საკრედიტო გარანტიების უზრუნველყოფას მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხებისთვის.
 - *ქვეკომპონენტი 1.4* ითვალისწინებს ტექნიკურ დახმარებას COVID-ის მიმართ დაცულობის ასამაღლებლად და მმსს-ების დიჯიტალიზაციას.
7. კომპონენტი 2-ის ამოცანაა ფინანსური სექტორის ინფრასტრუქტურის განმტკიცება, რაც შესაძლებელს ხდის ციფრული ფინანსური მომსახურების ხელმისაწვდომობასა და გამოყენებას. ის ასევე მიზნად ისახავს მმსს-ების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაფართოებას მოძრავი ქონების გირაოდ გამოყენების გზით, რაც ასევე ხელს შეუწყობს ფირმების მდგრადობას.
 - *ქვეკომპონენტი 2.1* ითვალისწინებს ინვესტიციების, ოპერაციული ხარჯების და ტექნიკურ დახმარების დაფინანსებას სწრაფი გადახდის სისტემის დანერგვისთვის.
 - *ქვეკომპონენტი 2.2* დააფინანსებს ინვესტიციებს „იცნობდეთ თქვენს კლიენტს“ სისტემის ელექტრონული ინფრასტრუქტურისა და რეესტრის შესაქმნელად.
 - *ქვეკომპონენტი 2.3* მიზნად ისახავს მოძრავი გირაოს რეგისტრაციისა და აღსრულების რეჟიმის განმტკიცებას, იმისათვის რომ შემცირდეს კრედიტორების ამჟამინდელი ზედმეტი დამოკიდებულება მიწის გირაოდ გამოყენებაზე.
8. კომპონენტი 3 დააფინანსებს პროექტის მართვის, განხორციელების და მონიტორინგის საჭიროებებს შემდეგი მიმართულებებით: (i) სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ პროექტის განხორციელება, მათ შორის, ოპერაციული ხარჯები და დამატებითი

პერსონალის აყვანა პროექტის საერთო განხორციელებისთვის და სააგენტოს ფინანსური პასუხისმგებლობების, ისევე როგორც, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სტანდარტებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების აღსასრულებლად; (ii) პროექტის მონიტორინგი და შეფასება, საწარმოთა კვლევის და ზემოქმედების შეფასების ჩათვლით; (iii) ტექნიკური დახმარება და სწავლება მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის თავიანთი სისტემების განახლებით; და (iii) ინსტიტუციური გაძლიერების სხვა ღონისძიებები.

9. კომპონენტი 4 გააქტიურდება მსესხებლის თხოვნით და მსოფლიო ბანკის თანხმობით იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა დადგება საგანგებო სიტუაციაზე სწრაფი რეაგირების საჭიროების წინაშე, რასაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს პროექტის მიმდინარეობისას. ამჟამად ამ კომპონენტის განსახორციელებლად სახსრები ბიუჯეტირებული არ არის. მისი გააქტიურების შემთხვევაში, მოხდება პროექტის თანხის გადანაწილება სხვა კომპონენტებიდან იმისათვის, რომ დაფინანსდეს საგანგებო სიტუაციაზე საპასუხო ღონისძიებების განხორციელება.

3 პროექტის განხორციელების მექანიზმები

10. პროექტის ღონისძიებების უმეტესი ნაწილი კომპონენტ 1-ს მიეკუთვნება. ამ კომპონენტს ახორციელებს სააგენტო „აწარმოე საქართველოში“, რომელიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში ფუნქციონირებს. მისი მისიაა საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნების მიღწევის ხელშეწყობა სამი ძირითადი მიმართულებით:

- „აწარმოე საქართველოში“ - ბიზნესის განვითარება
- „აწარმოე საქართველოში“ - ინვესტირება საქართველოში
- „აწარმოე საქართველოში“ - ექსპორტის მხარდაჭერა

11. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ორიენტირებულია კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებაზე, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდაზე და საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობაზე.

12. ბიზნესის განვითარების მიმართულება მიზნად ისახავს საქართველოში მეწარმეობის განვითარებას მეწარმეების მხარდაჭერით, ახალი საწარმოების შექმნის და არსებული საწარმოების გაფართოების და გადაიარაღების ხელშეწყობით.

13. ექსპორტის მხარდაჭერის განყოფილება ემსახურება ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაციას, საერთაშორისო ბაზრებზე ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობისა და შიდა პროდუქციის საექსპორტო მოცულობის გაზრდის მიზნით.

14. საქართველოში ინვესტირების მიმართულება ასრულებს შუამავლის როლს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის, უზრუნველყოფს ინვესტორის მიერ სხვადასხვა სახის განახლებული ინფორმაციის მიღებას და ფლობს საშუალებებს სამთავრობო ორგანოებთან ეფექტური კომუნიკაციისთვის. საინვესტიციო მიმართულების მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, პოპულარიზაცია და განვითარება. ის ინვესტორებისთვის „ერთი ფანჯრის“ როლს ასრულებს, კომპანიების მხარდასაჭერად საინვესტიციო პროცესის დაწყებამდე, პროცესში და პროცესის შემდეგ.

15. 1.1 ქვეკომპონენტის განსახორციელებლად, სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ დაიქირავებს კონტრაქტორ ორგანიზაციებს¹ მიკროგრანტების სქემის ფარგლებში საგრანტო დაფინანსებასთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანიის, განაცხადების სკრინინგის, სააპლიკაციო პროცესის და მონიტორინგის სამართავად. 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტებით, სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ დააფინანსებს საპროცენტო გადახდებს და ნაწილობრივ გარანტიებს მმსს-ებისთვის მონაწილე საფინანსო ორგანიზაციების საშუალებით. პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტი შეიძლება იყოს კომერციული ბანკი, სალიზინგო კომპანია ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. ქვეკომპონენტი 1.4 უზრუნველყოფს სწავლებას საწარმოებისთვის ციფრული განვითარების და COVID- ისგან დაცვის საკითხების შესახებ და ხელს შეუწყობს ინფორმაციის მიწოდებას სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ "ზრდის ჰაბებისთვის", რომელთა მიზანია სამეწარმეო უნარ-ჩვევებში სწავლების ორგანიზება ქვეყნის მასშტაბით მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში.

16. 2.1 ქვეკომპონენტი, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს, დააფინანსებს ინვესტიციებს და ოპერაციულ ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია სწრაფი გადახდის სისტემის ინფრასტრუქტურასთან, ისევე როგორც ტექნიკურ დახმარებასთან სისტემის მომხმარებლების ინფორმირების და მათთან კავშირის უზრუნველყოფის მიზნით. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო შეასრულებს ტექნიკური ხელმძღვანელის როლს 2.2 ქვეკომპონენტის განხორციელებაში, იუსტიციის სამინისტროსთან კოორდინაციით, ხოლო სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ შეასრულებს ფინანსური ადმინისტრატორის ფუნქციებს სამინისტროს წარმომადგენლის რანგში. მსგავსი მექანიზმები არსებობს 2.3 ქვეკომპონენტის განსახორციელებლად: ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო იმოქმედებს როგორც ტექნიკური ხელმძღვანელი გირაოს რეგისტრაციისა და აღსრულების რეფორმის გატარების პასუხისმგებლობით და სამუშაო ჯგუფის შეხვედრების მოწვევით, რომლის წევრებიც არიან იუსტიციის სამინისტრო, ეროვნული ბანკი და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ისევე როგორც შესაბამისი ტექნიკური ექსპერტები. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ შეასრულებს ფინანსური ადმინისტრატორის

¹ ესენი შეიძლება იყოს არასამთავრობო ორგანიზაციები ან სხვა სუბიექტები, რომლებთანაც ხელშეკრულება გაფორმებულია მიკროგრანტების სქემის განსახორციელებლად.

ფუნქციებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლის რანგში.

17. საქართველოს საფინანსო სექტორი წინ მიიწერვს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის პრინციპების გათავისებაში. ეროვნული ბანკი ქვეყანაში პასუხისმგებელია ყველა საფინანსო ინსტიტუტის ლიცენზირებაზე, რეგულირებასა და ზედამხედველობაზე. 2020 წელს ეროვნულმა ბანკმა შემოიღო *გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხთა თაობაზე ანგარიშგებისა და ინფორმაციის საჯაროობის პრინციპები*², რომლებიც იძლევა მითითებებს კომერციული ბანკების და სხვა საფინანსო ინსტიტუტების დასახმარებლად გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობის საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაგები, თანმიმდევრული და ურთიერშესადრისი ფორმით გასაჯაროების თაობაზე. ბანკების გარკვეულ რაოდენობას, რომელიც აპირებს პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტის ფორმით ჩართვას, უკვე დანერგილი აქვს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ინსტიტუციური სისტემები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის შედეგად და/ან ამ სისტემების შემუშავებისა და განახლების პროცესშია ეროვნული ბანკის ახალი სახელმძღვანელო მითითებების თანახმად. გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებზე ინფორმაციის პირველი გამოქვეყნების ბოლო ვადაა 2021 წლის დასაწყისი.

4 პროექტის შესაძლო ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და მსოფლიო ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სტანდარტები

18. პროექტის ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ძირითადად მოსალოდნელია კომპონენტი 1-ის განხორციელებისას, რომელიც ითვალისწინებს მმსს-ების საქმიანობის დაფინანსებას. კომპონენტები 2 და 3 შესაბამისად დააფინანსებს ტექნიკურ დახმარებას და პროექტის მართვას და, როგორც ასეთი, გავლენას არ იქონიებს გარემოზე ან ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობაზე და არ იქონიებს გავლენას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე. კომპონენტი 4 გააქტიურდება საგანგებო ვითარების პირობებში გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარად. დასაფინანსებლად დასაშვები საქმიანობის განსაზღვრება ამ კომპონენტის ფარგლებში, მასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და რისკის მართვის ზომები აღწერილი იქნება პროექტის საოპერაციო სახელმძღვანელოს შესაბამის თავში.

19. პროექტის ნებისმიერი კომპონენტის ფარგლებში ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვა განხორციელდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტში წარმოდგენილი პრინციპების და პროცედურების შესაბამისად ისე, რომ ის შეესაბამებოდეს მსოფლიო ბანკის

² ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://www.nbg.gov.ge/uploads/esg/nbg_principles_on_esg_disclosure.pdf

გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპების სახელმძღვანელო დოკუმენტისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის მიზნებსა და მოთხოვნებს.

20. პროექტის შესაძლო ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ძირითადად იმ მმსს-ების საქმიანობას უკავშირდება, რომლებიც სარგებელს მიიღებენ გრანტებიდან, სესხის პროცენტის თანადაფინანსებიდან ან კომპონენტ 1-ით გათვალისწინებული გარანტიებიდან. რადგანაც პროექტით დაფინანსებული სპეციფიკური საქმიანობის განსაზღვრა შეუძლებელია მომზადების ეტაპზე, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტი განსაზღვრავს პროცესებს, როლებს და პასუხისმგებლობებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების რისკების სკრინინგის, მართვის და მონიტორინგისთვის პროექტის განხორციელების ეტაპზე.
21. შესაძლო ზემოქმედების სპექტრი ფართო და მრავალფეროვანია. იგი უკავშირდება ხმაურის, მტვრის ან სუნის წარმოქმნას, ჰაერის, წყლის ან ნიადაგის დაბინძურებას, პესტიციდების გამოყენებას (შეეხება სასოფლო-სამეურნეო წარმოებას), თხევადი და მყარი, მათ შორის ტოქსიკური / საშიში ნარჩენების წარმოქმნას, ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, შრომის და სამუშაო პირობების რისკებს, შრომის უსაფრთხოებას, მშენებლობის ან სარეაბილიტაციო სამუშაოების რისკებს. ამასთან ერთად, პროექტის ძირითადი სოციალური რისკები შეიძლება უკავშირდებოდეს ნებისმიერი მოქალაქის, განსაკუთრებით კი დაუცველი და მოწყვლადი ჯგუფების შესაძლებლობას მიიღოს ინფორმაცია პროექტის შესახებ, ჩაერთოს მასში, და სამართლიანად ისარგებლოს პროექტით და ჰქონდეს წვდომა საჩივრების მიღებისა და განხილვის მექანიზმთან. პროექტმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბიომრავალფეროვნებას და / ან კულტურულ მემკვიდრეობას, თუ მმსს-ების საქმიანობა ხორციელდება დაცული ტერიტორიების, ბუნებრივი ან კულტურული ძეგლების სიახლოვეს. შესაძლებლობისამებრ უნდა მოხდეს ამგვარი რისკების თავიდან არიდება ან მინიმუმამდე დაყვანა ხოლო თუ ეს შეუძლებელია - მაშინ სავალდებულოა უარყოფითი ზემოქმედების შერბილება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ამ ჩარჩო დოკუმენტისა და საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის დებულებების შესაბამისად. პროექტი, სავარაუდოდ, არ გამოიწვევს მიწის შესყიდვასთან, მიწათსარგებლობის შეზღუდვასთან ან იძულებითი განსახლებასთან დაკავშირებულ ზეგავლენას (ეს არ ეხება მიწასთან და ქონებასთან დაკავშირებულ იმგვარ გარიგებებს, რომლებიც ხორციელდება დაინტერესებული მყიდველის და დაინტერესებული გამყიდველის გარიგების საფუძველზე). ამგვარი ზეგავლენის შესაძლებლობა გადამოწმდება სკრინინგის პროცედურით, რომელიც აღწერილია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტში და შევა პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემებსა და ჯეროვანი ზედამხედველობის პროცედურებში.
22. მმსს-ების დახმარებისა და კრიზისიდან გამოყვანის პროექტი მსოფლიო ბანკის მიერ ფინანსდება და, ამრიგად, მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვისა და სოციალური პრინციპების

სახელმძღვანელოს ამოცანები და მოთხოვნები ვრცელდება პროექტის მიერ დაფინანსებულ ყველა საქმიანობის მიმართ. ამ თავში მოცემულია მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვისა და სოციალური პრინციპების სახელმძღვანელოში შესული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სტანდარტებისა და პროექტთან მათი მიმართვის მიმოხილვა.³

ცხრილი 1. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სტანდარტებისა და პროექტთან მათი მიმართვის მიმოხილვა

მსოფლიო ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სტანდარტი	პროექტთან მიმართება
სტანდარტი 1. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების რისკების შეფასება და მართვა	პროექტით დაფინანსებული ყველა საქმიანობა, რომელმაც შესაძლოა ზემოქმედება იქონიოს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე (მაგ., კომპონენტ 1-ის ფარგლებში) ექვემდებარება სკრინინგს, ჯეროვან ზედამხედველობას და მონიტორინგს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“, კონტრაქტორი ორგანიზაციების და პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს საქართველოს გარემოსა და სოციალური დაცვის კანონმდებლობასთან და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპების სახელმძღვანელოს მოთხოვნებთან შესაბამისობა, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტის V თავის თანახმად. საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობასთან ან ჩარჩო დოკუმენტთან შეუსაბამობის შემთხვევაში, რომელიც საფრთხეს უქმნის გარემოს, ადამიანებს ან საზოგადოებას, განსაზღვრული იქნება გამოსასწორებელი ღონისძიებები და მათი შესრულების მონიტორინგი მოხდება სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ, კონტრაქტორი ორგანიზაციებისა და პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით; საჭიროების შემთხვევაში კი, სხვა სახელმწიფო ორგანოების მონაწილეობით.
სტანდარტი 2. შრომის უსაფრთხოება და სამუშაო პირობები	სტანდარტი 2 ვრცელდება პროექტის ფარგლებში ყველა პირდაპირ და კონტრაქტით დაქირავებულ მუშახელზე. ეს მოიცავს პროექტის განმახორციელებელი გუნდის თანამშრომლებს სააგენტოში „აწარმოე საქართველოში“ და ეროვნულ ბანკში, კონტრაქტორი ორგანიზაციების და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების თანამშრომლებს და პროექტის საქმიანობის განსახორციელებლად დაქირავებულ ნებისმიერ კონსულტანტს. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტის VI თავში აღწერილი შრომის მართვის პროცედურები (საქართველოში მოქმედ ეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად, მაგალითად, შრომის კოდექსი, შრომის უსაფრთხოების კანონი) ვრცელდება პროექტის ფარგლებში ყველა

³ მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპების სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით დამატებითი დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.worldbank.org/en/projects-operations/environmental-and-social-framework>
 დეტალური ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობასა და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპების სახელმძღვანელოს შორის განსხვავებების შესახებ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://documents1.worldbank.org/curated/en/105031592550795667/pdf/Analysis-of-Gaps-between-National-Legislation-of-Georgia-and-World-Bank-Environmental-and-Social-Framework.pdf>

მსოფლიო ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სტანდარტი	პროექტთან მიმართება
	<p>პირდაპირ და კონტრაქტით დაქირავებულ მუშახელზე. პროექტით მოსარგებლები (მმსს) პროექტის დაფინანსების მისაღებად სააგენტოსთან „აწარმოე საქართველოში“ და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ასევე იღებენ შრომის ეროვნული კანონმდებლობის (დასაქმების და სამუშაო პირობების და სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის ჩათვლით) დაცვის, იძულებითი ან ბავშვთა შრომის გამოუყენებლობის და საჩივრების მექანიზმთან თანამშრომლების წვდომის უზრუნველყოფის ვალდებულებას. როდესაც ქვეპროექტის რისკები არსებითია, შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი პროცედურები ავსებს ეროვნულ კანონმდებლობას და მსოფლიო ბანკს გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპების სახელმძღვანელოს, შემოქმედებს რა საერთაშორისო საუკეთესო სამრეწველო პრაქტიკის ელემენტები საქმიანობის კონკრეტულ დარგისთვის სამუშაო ადგილისა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში.</p>
<p>სტანდარტი 3. რესურსების ეფექტური გამოყენება, დაბინძურების თავიდან არიდება და მართვა</p>	<p>დაბინძურებასთან და რესურსების ეფექტურად გამოყენებასთან დაკავშირებული ზემოქმედება პოტენციურად მნიშვნელოვანია პროექტით მოსარგებლე მმსს-ების საქმიანობისთვის 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტების ფარგლებში. რისკის გამოვლენისა და შერბილების ზომები ინტეგრირდება მმსს-ების სკრინინგისა და ჯეროვანი ზედამხედველობის პროცედურებში ბუნებრივ და სოციალური გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტის V თავის შესაბამისად.</p>
<p>სტანდარტი 4. ადგილობრივი მოსახლეობის ჯანდაცვა და უსაფრთხოება</p>	<p>პროექტი, სავარაუდოდ, საფრთხეს არ შეუქმნის ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას. 1.1 ქვეკომპონენტით მხოლოდ დაბალი რისკის მქონე ღონისძიებები იქნება მხარდაჭერილი. მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების გამოვლენა და მართვა 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტების ფარგლებში განხორციელდება სკრინინგისა და ჯეროვანი ზედამხედველობის პროცედურების მეშვეობით, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ექსპოზიციების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტის 5.2 ქვეთავის შესაბამისად. პროექტით მოსარგებლზე მმსს-ები სააგენტოსთან „აწარმოე საქართველოში“ და პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით იღებენ ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად; ასევე, ნულოვანი ტოლერანტობის გამოჩენის ვალდებულებას სექსუალური ექსპლואატაციის და ძალადობის, და სექსუალური შევიწროების მიმართ თავიანთი საქმიანობის ფარგლებში.</p>
<p>სტანდარტი 5. მიწის შესყიდვა, მიწათსარგებლობასთან დაკავშირებული შეზღუდვები და იძულებითი განსახლება</p>	<p>პროექტთან დაკავშირებული საქმიანობა რომელიც საჭიროებს იძულებით განსახლებას - მაგ., ზემოქმედებას ნებისმიერი პირის (მესაკუთრის ან არაფორმალური მომხმარებლის) მიწაზე, ქონებაზე ან საარსებო საშუალებებზე - არ დაფინანსდება პროექტის სახსრებით. ეს დადასტურდება სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“, კონტრაქტორი</p>

<p>მსოფლიო ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სტანდარტი</p>	<p>პროექტთან მიმართება</p>
	<p>ორგანიზაციების და პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მიერ სკრინინგისა და ჯეროვანი ზედამხედველობის პროცედურების საშუალებით ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტის V თავის შესაბამისად.</p>
<p>სტანდარტი 6. ბიომრავალფეროვნების დაცვა და ცოცხალი ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა</p>	<p>საქმიანობა დაცული ტერიტორიების ფარგლებში არ დაფინანსდება პროექტის მიერ. არ არის მოსალოდნელი პროექტის ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე და ცოცხალ ბუნებრივ რესურსებზე დაცული ტერიტორიების ფარგლებს გარეთაც; თუმცა, აღნიშნული გადამოწმდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტის 5.2 ქვეთავში აღწერილი სკრინინგის და ჯეროვანი ზედამხედველობის პროცედურების დაცვით. ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების რისკის გამოვლენის შემთხვევაში, განისაზღვრება ის ღონისძიებები, რომლებიც არ დაფინანსდება პროექტის მიერ ან რომელთა მართვაც განხორციელდება ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმის საშუალებით. ამ უკანასკნელს მოამზადებს პროექტით მოსარგებლე; და განიხილავს და დაამტკიცებს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ და მსოფლიო ბანკის.</p>
<p>სტანდარტი 7. აბორიგენი მოსახლეობა / საჰარის სამხრეთით მოსახლე ისტორიულად კეთილდღეობას მოკლებული ტრადიციული ადგილობრივი თემები</p>	<p>ეს სტანდარტი პროექტს არ ეხება</p>
<p>სტანდარტი 8. კულტურული მემკვიდრეობა</p>	<p>საქმიანობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფარგლებში ან საქმიანობა, რომელიც პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს / კვალს ტოვებს მატერიალურ ან არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაზე არ დაფინანსდება პროექტის მიერ.</p>
<p>სტანდარტი 9. ფინანსური შუამავლები</p>	<p>პროექტის 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტების განხორციელებაში მონაწილეობენ ფინანსური შუამავლები. სტანდარტი 9–ის შესაბამისად, პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს უნდა გააჩნდეთ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემები, რომლებიც სულ მცირე მოიცავს: (i) ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების პოლიტიკას; (ii) მკაფიოდ განსაზღვრულ პროცედურებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების რისკების გამოვლენის, შეფასებისა და მართვისთვის; (iii) ორგანიზაციულ შესაძლებლობებს და კომპეტენციას; ქვეპროექტებისა და პორტფელის ეკოლოგიური და სოციალური რისკების მონიტორინგს; და (iv) გარე კომუნიკაციის მექანიზმს. მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების ბუნებრივი და სოციალური მართვის სისტემებისა და გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის და რისკების მართვის პროცედურების ძირითადი მახასიათებლები მოცემულია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტის 5.2 ქვეთავში.</p>
<p>სტანდარტი 10. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ინფორმაციის საჯაროობა</p>	<p>პროექტის განმახორციელებელი სუბიექტები, ისევე როგორც კონტრაქტორი ორგანიზაციები და პროექტით მოსარგებლეთათვის დაფინანსების მიწოდებაში ჩართული მონაწილე საფინანსო</p>

მსოფლიო ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სტანდარტი	პროექტთან მიმართება
	<p>ინსტიტუტები უზრუნველყოფენ ინფორმაციის საჯაროობას და სისტემატურად თანამშრომლობენ დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის საქმიანობაში მათი ინფორმირებული და ეფექტური ჩართულობის და მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. ისინი ასევე უზრუნველყოფენ დაინტერესებული მხარეებისთვის უპირანი ინფორმაციის გამჟღავნებას ბუნებრივი და სოციალური გარემოს დაზიანების რისკების და მასზე ზემოქმედების შესახებ დროული, გასაგები, ხელმისაწვდომი და ჯეროვანი არხებითა და ფორმატით. დაინტერესებული მხარე შეიძლება იყოს პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირი ან სხვა სუბიექტები. პოტენციური დაინტერესებული მხარეებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველსაყოფი ღონისძიებების ჩამონათვალი მოცემულია პროექტის დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმაში და შეჯამებულია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარხო დოკუმენტის VIII თავში.</p> <p>სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ შეიმუშავებს და აამოქმედებს საჩივრების მიღებისა და განხილვის მექანიზმს. კონტრაქტორ ორგანიზაციებს საკუთარი როლი ექნებათ საჩივრების მიღებისა და განხილვის მექანიზმის მართვაში ადგილობრივ დონეზე 1.1 ქვეკომპონენტის ფარგლებში. პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები შექმნიან გარე კომუნიკაციის მექანიზმებს, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის თავიანთი კორპორაციული სისტემების ფარგლებში, რომლებიც გამოყენებული იქნება საჩივრების მიღებისა და განხილვისთვის. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ გამოყოფს საჩივრებზე პასუხისმგებელ პირს პროექტის განმახორციელებელ გუნდში, რომელსაც დაეკისრება საჩივრების მიღებისა და განხილვის მექანიზმის ფუნქციონირებაში ჩართული პერსონალის სწავლების დაგეგმვაზე, მართვაზე, მონიტორინგსა და ანგარიშგებაზე.</p>

23. სტანდარტი 9-ის შესაბამისად, პროექტის მიერ დაფინანსებული მმსს-ები, რომელთა საქმიანობა დაბალი ან საშუალო გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მატარებლად კლასიფიცირდება, მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპების სახელმძღვანელოს თანახმად, უნდა იცავდნენ ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს და აკრძალული საქმიანობის ჩამონათვალს. თუ მმსს-ების საქმიანობა კლასიფიცირდება არსებითი რისკის მატარებლად, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების მართვა განხორციელდება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარხო დოკუმენტის მოთხოვნების შესაბამისად და მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სტანდარტების შესაბამისად. მმსს-ების საქმიანობა, რომელიც კლასიფიცირებულია მაღალი გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მატარებლად, პროექტის ფარგლებში ვერ მიიღებს დაფინანსებას. სტანდარტი 9-ის მოთხოვნები, რომლებიც დადგენილია პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების

მიმართ, უნდა შესრულდეს პროექტის განხორციელებაში მონაწილე ყველა კომერციული ბანკის, სალიზინგო კომპანიის და მიკროსაფინანსო ინსტიტუტის მიერ. სტანდარტი 2 -ის და სტანდარტი 10-ის მოთხოვნები, რომლებიც დადგენილია სააგენტოსთვის „აწარმოე საქართველოში“, ძალაშია პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში.

24. ქვემოთ მოცემულ V თავში უფრო დეტალურად არის აღწერილი პროექტის ფარგლებში ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების რისკების მართვისადმი მიდგომა და ინსტიტუციური როლები და პასუხისმგებლობები რისკების სკრინინგისა და კლასიფიკაციის ჩათვლით.


5 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების რისკის მართვისადმი მიდგომა პროექტის ფარგლებში

25. პროექტი პროპორციულ მიდგომას იყენებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების რისკის მართვის მიმართ, რაც ნიშნავს, რომ მარტივი პროცედურები იქნება გამოყენებული დაბალი და საშუალო რისკის მატარებელ საქმიანობებთან დაკავშირებით, ხოლო უფრო მეტი ძალისხმევა იქნება მიმართული არსებითი რისკის მატარი ოპერაციების შესასრულებლად. სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“, როგორც პროექტის განმახორციელებელ სუბიექტს (კომპონენტი 1-თვის), აკისრია საერთო პასუხისმგებლობა პროექტით დაფინანსებული საქმიანობით გამოწვეული ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების რისკის მართვაზე და კონტრაქტორი ორგანიზაციებისა და პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების ზედამხედველობაზე. ეს უკანასკნელნი განახორციელებენ პროექტის მიერ დაფინანსებული საქმიანობის სკრინინგს და მონიტორინგს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის მიზნით. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ დანერგავს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინსტიტუტური სისტემას ამ პროექტის მიზნებისათვის. ამ სისტემის ფარგლებში, სააგენტო უზრუნველყოფს, რომ პროექტის განხორციელებაში მონაწილე სუბიექტებს ასევე ჰქონდეთ ადეკვატური ინსტიტუციური მექანიზმები და პროცედურები საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის და პროექტის მომართ ამოქმედებული მსოფლიო ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

26. პროექტის 1.1, 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტებით გათვალისწინებული ღონისძიებების გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის განსხვავებული დონეების გამო, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტი ითვალისწინებს დიფერენცირებულ გარემოსდაცვით და სოციალურ მოთხოვნებს ამ კომპონენტებით მხარდაჭერილი საქმიანობისთვის.

27. 1.1 ქვეკომპონენტი ყველაზე დაბალ გარემოსდაცვით და სოციალურ რისკებს შეიცავს. ეს ქვეკომპონენტი ითვალისწინებს 30,000 ლარამდე (დაახლოებით 10,000 აშშ დოლარი) ოდენობის გრანტების გაცემას არსებული ან ახალი საწარმოების საოპერაციო ხარჯებისა და გაფართოების ან ტექნიკური გადაიარაღების მხარდასაჭერად. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ამ ქვეკომპონენტის ადმინისტრირების ნაწილობრივ გადაცემას ახდენს კონტრაქტორ ორგანიზაციებზე, რომელთა დაქირავება ხელშეკრულების საფუძველზე ხდება. აპლიკანტები თავდაპირველად თვითანგარიშგებას განახორციელებენ 5 საკითხის შესახებ განაცხადების შეტანის ეტაპზე (ეტაპი 1 პროცესის სქემაზე; დიაგრამა 1), რისი მართებულებაც გადამოწმდება შემოწმების ეტაპზე (ეტაპი 7 პროცესის სქემაზე; დიაგრამა 1). სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ და კონტრაქტორი ორგანიზაციები განახორციელებენ შემომავალი საგრანტო განაცხადების რისკის სკრინინგს და სკრინინგის შედეგებს გაითვალისწინებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საგრანტო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ, განახორციელებენ გრანტის მიმღებთა საქმიანობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ზედამხედველობას და მოამზადებენ რეგულარულ ანგარიშებს აღნიშნულის შესახებ მიკროგრანტების სქემის ფარგლებში. სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ გამოყოფილი ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების საკითხებზე მომუშავე პერსონალი განიხილავს კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ საგრანტო მოთხოვნის დამტკიცებამდე წამოჭრილ საორჭოფო საკითხებს, განახორციელებს მონიტორინგს და ანგარიშგებას, მათ შორის დამტკიცების შემდგომ შემოწმებას, პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად სკრინინგისა და რისკის მართვის ღონისძიებების განხორციელების უზრუნველსაყოფად.

დიაგრამა 1: მიკროგრანტების დამტკიცების არსებული პროცესის სქემა



28. 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტები განხორციელდება კომერციული ბანკების, სალიზინგო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მონაწილეობით, რომლებსაც პროექტის მიზნებისათვის მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები ეწოდებათ. 1.2 ქვეკომპონენტი დააფინანსებს მძს სესხების საპროცენტო განაკვეთების გადახდას, 16,000 აშშ დოლარიდან 3,3 მლნ აშშ დოლარამდე ფარგლებში. ქვეკომპონენტი 1.3 დააფინანსებს კრედიტის გარანტიის მექანიზმს, რომელიც შეიქმნა მთავრობის მიერ. ამ ქვეკომპონენტის ფარგლებში სესხები, სავარაუდოდ, 16,000-დან 1,6 მილიონ აშშ დოლარამდე მერყეობს და საშუალო სესხის ოდენობა 280,000 აშშ დოლარია. 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტებში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების საშუალებით დასაფინანსებელი აქტივობების მასშტაბურობის და მრავალფეროვნების გამო, ეკოლოგიური და სოციალური რისკების სკრინინგი და მართვა ასევე უფრო მრავალფეროვანი და რთული იქნება. მსოფლიო ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სტანდარტი 9 მოთხოვნების შესაბამისად, მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს მოეთხოვებათ ფუნქციური გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინსტიტუციური სისტემის შექმნა და / ან შენარჩუნება. ეს მოთხოვნა შეეხება მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების პორტფელის იმ ნაწილს, რომელიც პროექტით უნდა იყოს მხარდაჭერილი. თუმცა, მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს ასევე შეუძლიათ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის კორპორატულ დონეზე დანერგვა ან გაუმჯობესება. ეს უკანასკნელი შესაბამისობაში იქნება საქართველოს ფინანსური ინსტიტუტების გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის რისკის მართვის გაუმჯობესების მცდელობასთან ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობით და გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით საკითხებზე ანგარიშგების და ინფორმაციის გასაჯაროების ახალ პრინციპებთან, რომლებიც ეროვნულმა ბანკმა 2020 წელს მიიღო.⁴

29. გარემოსდაცვით და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის ქვემოთ მოცემულ თავებში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების რისკის მართვის მოთხოვნების შესახებ, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ განხორციელებული პროექტის კომპონენტი 1-ის შესაბამისად.

5.1 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების რისკის მართვა 1.1. ქვეკომპონენტის ფარგლებში

30. 1.1 ქვეკომპონენტის ფარგლებში პროექტი გამოყოფს გრანტებს 30,000 ლარამდე ოდენობით (დაახლ. 10,000 აშშ დოლარი) მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ კონკურენტულად შეარჩევს და დაიქირავებს კონტრაქტორ ორგანიზაციებს მიკროგრანტების სქემის გარკვეული ნაწილის ადმინისტრირებისთვის.

⁴ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. :

https://www.nbg.gov.ge/uploads/finstability/roadmap/sustainable_finance_roadmap_eng.pdf და https://www.nbg.gov.ge/uploads/esg/nbg_principles_on_esg_disclosure.pdf

თითოეულ კონტრაქტორ ორგანიზაციას დაეკისრება უფლებამოსილება იმოქმედოს ქვეყნის (მითითებულ) ადმინისტრაციულ რეგიონებში. როგორც სააგენტო „აწარმოე საქართველოში“, ისე კონტრაქტორი ორგანიზაციები პასუხისმგებელი იქნებიან: (i) უზრუნველყონ, რომ საგრანტო განაცხადები შეიცავს საკმარის ინფორმაციას საწარმოს შესახებ, რომელიც ითხოვს გრანტს და საქმიანობის შესახებ, რომლის დასაფინანსებლადც იქნება გრანტი გამოყენებული; (ii) განაცხადების ეკოლოგიური და სოციალური სკრინინგის განხორციელებაზე ბუნებრივ და სოციალურ გარემოე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტზე თანდართული კითხვარის გამოყენებით (დანართი 2), რომლის თვითანგარიშგება ხორციელდება განმცხადებლის მიერ და მოწმდება გრანტის მინიჭებამდე; (iii) გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის შედეგების სათანადო ინტეგრირებაზე გრანტის მინიჭებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში; (iv) გრანტით დაფინანსებული პორტფელის ბუნებრივ და სოციალურ გარემოე ზემოქმედების ზედამხედველობაზე გრანტის მიმღების მიერ მოწოდებული ანგარიშებისა და ფიზიკური შემოწმების საშუალებით; და (v) ნახევარწლიურ ანგარიშგებაზე საგრანტო სექმის მოქმედების გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შესახებ (სხვა ასპექტებთან ერთად) და ჯეროვან ზედამხედველობაზე, რომელიც გამოიყენება საქმიანობის გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგების გადამოწმებისთვის.

31. შეთანხმებულია, რომ 1.1 ქვეკომპონენტი განხორციელებს მხოლოდ ისეთი საქმიანობის მხარდაჭერას, რომელიც შეფასებულია ბუნებრივ და სოციალურ გარემოე ზემოქმედების დაბალი რისკის მატარებლად. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის სკრინინგი ამ ქვეკომპონენტის ფარგლებში განხორციელდება კონტრაქტორი ორგანიზაციების ან სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ შესაბამისი თანამშრომლების მიერ, სააგენტოს გარემოს დაცვისა და სოციალური სპეციალისტების ხელმძღვანელობით, განმცხადებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ბუნებრივ და სოციალურ გარემოე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტთან თანდართული კითხვარის გამოყენებით (იხ. დანართი 2), რომლის გადამოწმება გრანტის მინიჭებამდე ჩატარებული შემოწმების დროს განხორციელდება. სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ გარემოსა დაცვისა და სოციალური სპეციალისტები განიხილავენ კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ საგრანტო მოთხოვნების დამტკიცებამდე წამოჭრილ საორჭოფო საკითხებს და ჩატარებენ მონიტორინგს და ანგარიშგებას საქმიანობის შესახებ, დამტკიცების შემდგომი შემოწმების ჩათვლით, სკრინინგისა და რისკის მართვის ბუნებრივი და სოციალური ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად განხორციელების დადასტურების მიზნით.

32. სკრინინგი გულისხმობს იმ განაცხადებების დაწუნებას, რომლებიც საგრანტო დაფინანსებას ითხოვენ საქმიანობისთვის რომელიც:

- (i) მითითებულია მსოფლიო ბანკის ჯგუფის გამონაკლისების ჩამონათვალში: იხ. ბუნებრივ და სოციალურ გარემოე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტის დანართი 1; ისინი, როგორც წესი, არ აკმაყოფილებს მსოფლიო ბანკის დაფინანსების მოთხოვნებს;


- (ii) **იწვევს იძულებით განსახლებას:** იძულებითი განსახლების ზემოქმედება შეიძლება გულისხმობდეს მიწასთან, აქტივებთან ან საარსებო საშუალებებთან წვდომის მუდმივ ან დროებით შეზღუდვას ნებისმიერი პირისთვის (მესაკუთრე ან არაოფიციალური მოსარგებლე). ამის დასაზუსტებლად, სკრინინგის შედეგად უნდა დადგინდეს, რომ მიწის ყველა ნაკვეთი და ქონება, სადაც ადგილი ექნება სამეწარმეო საქმიანობას, ეკუთვნის გრანტის ბენეფიციარს და არ გამოიყენება ნებისმიერი მესამე პირის მიერ ოფიციალური ან არაოფიციალური ფორმით, რომელზეც შესაძლოა პირდაპირი და უარყოფითი გავლენა იქონიოს გრანტის მიმღების მიერ წარმოებული საქმიანობის ფიზიკურმა შედეგმა.
- (iii) **რომელსაც ეწევა საწარმო დაკისრებული სანქციებით ეროვნული გარემოსდაცვითი და / ან სოციალური კანონმდებლობის შეუსრულებლობის გამო:** კონტრაქტორი ორგანიზაციები გრანტის მიმღებთაგან მოითხოვენ ხელმოწერილ დასტურს, რომ მათ არ აქვთ და წარსულში არ ჰქონიათ დაკისრებული სანქცია გარემოსდაცვითი და / ან სოციალური ორგანოების მხრიდან კანონმდებლობის შეუსრულებლობის გამო;
- (iv) **რომლისთვისაც გრანტის მაძიებელი არ ფლობს ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებართვას ან ლიცენზიას:** თუ განაცხადს აკლია საჭირო ნებართვის დამადასტურებელი დოკუმენტი, განმცხადებელს მოეთხოვება მისი წარმოდგენა, ხოლო თუ მას ეს არ შეუძლია, განცხადება უარყოფილი იქნება;
- (v) **რომელიც მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს მუშებს და ადგილობრივ მოსახლეობას და ზემოქმედებას ახდენს მათ ჯანმრთელობაზე და შრომის უსაფრთხოებაზე:** იგულისხმება საქმიანობა, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მშრომელთა სამუშაო პირობებსა და ჯანმრთელობაზე და რომელიც უშვებს ბავშვთა უკანონო შრომას ან იძულებითი შრომას. აქ ასევე მოიაზრება საქმიანობები, რომლებიც შეიძლება იყოს სახიფათო და არაჯანსაღი მუშებისთვის და საზოგადოების წევრებისთვის;
- (vi) **რომელიც უნდა განხორციელდეს კანონით დაფუძნებულ დაცულ ტერიტორიაზე ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ტერიტორიაზე:** ეს მოიცავს საქმიანობას დაცული ტერიტორიების ნებისმიერ კატეგორიაში, რომელსაც ეხება საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ, „ზურმუხტის ქსელის“ გამოყოფილ საიტებზე⁵ და საქმიანობას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შიგნით ან უშუალო სიახლოვეს, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს კანონით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ.

33. ღონისძიებები, რომლებმაც გაიარა გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი ზემოთ აღწერილის შესაბამისად, განხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოციალური ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. საგრანტო კონტრაქტები,


⁵ „ზურმუხტის ქსელი“ არის ეკოლოგიური ქსელი, რომელიც შედგება განსაკუთრებული კონსერვაციული ინტერესის ტერიტორიებისგან. მისი განხორციელება დაიწყო ევროსაბჭოს მიერ, მისი საქმიანობის ფარგლებში, ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ ბერნის კონვენციის შესაბამისად დღეისათვის საქართველოში ზურმუხტის ქსელის 46 საიტია გამოყოფილი.

რომლებიც გაფორმდება გრამტის მიმღებსა და სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ შორის, მოიცავს დადასტურებას, რომ გრანტის მიმღები მმსს-ები ასრულებენ საქართველოს მოქმედ გარემოსდაცვით და სოციალურ კანონმდებლობას, მათ შორის შრომის ეროვნული კოდექსის და შრომის უსაფრთხოების კანონის მოთხოვნებს.

დიაგრამა 2. გარემოსდაცვითი და სოციალური პროცედურების მოქმედების პროცესი სააგენტო განაცხადებისთვის - ახალი განაცხადების მიღება



დიაგრამა 3. გარემოსდაცვითი და სოციალური პროცედურების მოქმედების პროცესი საგრანტო განაცხადებისთვის - მიმდინარე განაცხადების მიღება



34. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ კონტრაქტორი ორგანიზაციებისგან მოითხოვს მათზე მიმაგრებულ საქართველოს ადმინისტრაციულ რეგიონებში ძლიერ წარმომადგენლობას. კონტრაქტორ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ საჩივრების მიღებისა და განხილვის მექანიზმის შემუშავება, დანერგვა პროექტის დონეზე შემუშავებული ამგვარი მექანიზმის ფარგლებში. პროექტის დონეზე შემუშავებული საჩივრების მიღებისა და განხილვის მექანიზმი აღწერილია პროექტით დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმაში, ისევე როგორც ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტის VII თავში.

35. საჩივრების მიღებისა და განხილვის მექანიზმის საშუალებით გრანტით დაფინანსებული საქმიანობის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადგილობრივი მოსახლეობა შეძლებს უკმაყოფილების გამოხატვას აღნიშნული საქმიანობიდან მომდინარე უარყოფითი გავლენის შემთხვევაში (მაგალითად, საწარმოს საქმიანობით გამოწვეული ხმაური, სუნი, ვიბრაცია, ნაგვის დაყრა და სხვა). საჩივრის მიღებისთანავე, კონტრაქტორი ორგანიზაციები აფიქსირებენ მას და ცდილობენ მის მოგვარებას ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით, თუ ეს შესაძლებელია. თუ საჩივრის გადაწყვეტა შეუძლებელია ადგილობრივ დონეზე, კონტრაქტორი ორგანიზაციები დაუკავშირდებიან სააგენტოში „აწარმოე საქართველოში“ საჩივრებზე პასუხისმგებელ საკონტაქტო პირს აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად. საჩივრის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება საჭირო გახდეს ადგილზე ვიზიტი და მეთოდური მითითებების მიღება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსგან ან სხვა შესაბამისი ორგანოებისგან. როგორც კონტრაქტორი ორგანიზაციები, ისე სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ აწარმოებს საჩივრების და მათი სტატუსის დეტალურ ჟურნალს. სააგენტო მათ შესახებ აწარმოებს ანგარიშგებას მსოფლიო ბანკის წინაშე ნახევარწლიური ანგარიშების სახით.
36. კონტრაქტორი ორგანიზაციები ხელშეკრულებით ვალდებული არიან სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს 48 საათისა) აცნობონ მათთვის ცნობილი ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინციდენტის შესახებ, რომელიც შეეხო მათ პერსონალს სამუშაო ადგილზე და/ან გრანტის მიმღებს და რომელიც მათთვის ცნობილი გახდა, შემდეგ კი მიაწოდოს დამატებით გადამოწმებული ინფორმაცია სააგენტოს მოთხოვნის შესაბამისად. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ დროულად აწვდის ასეთ ინფორმაციას მსოფლიო ბანკს.
37. სააგენტო კონტრაქტორი ორგანიზაციის ზემოაღნიშნულ პასუხისმგებლობას ასახავს ტექნიკურ დავალებაში, რაც ხელშეკრულებით სავალდებულო გახდება. ხელშეკრულებაში ასევე გათვალისწინებული იქნება ვალდებულება კონტრაქტორი ორგანიზაციების თანამშრომლების მიერ პროექტის შრომის მართვის პროცედურების, ასევე შრომის ეროვნული კოდექსის და შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობის შესრულებასთან დაკავშირებით. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის მართვის სახელშეკრულებო ვალდებულებების შესასრულებლად სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ და კონტრაქტორი ორგანიზაციები თავიანთ პერსონალს ჩაუტარებენ სწავლებას საგრანტებო განაცხადების სკრინინგის კითხვარის ადეკვატური გამოყენების, გრანტის მიმღების საქმიანობის გარემოსდაცვითი და სოციალური ზედამხედველობის, საჩივრების მიღებისა და განხილვის მექანიზმის, მონიტორინგისა და უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ. სააგენტო და კონტრაქტორი ორგანიზაციები გააერთიანებენ გარემოსდაცვით და სოციალურ ასპექტებსა და მოთხოვნებს გრანტით სავარაუდო მოსარგებლეებისთვის ცნობიერების ამაღლების სესიებში. იმ შემთხვევებში, სადაც რეტროაქტიური დაფინანსება განიხილება, სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ან კონტრაქტორი ორგანიზაციები,

პროექტით მოსარგებლე მმსს-ებთან თანამშრომლობით დაასრულებენ საქმიანობის დამატებით გარმოსდაცვით და სოციალურ სკრინინგს, ზემოთ აღწერილის შესაბამისად.


5.2 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების რისკის მართვა 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტების ფარგლებში

38. სააგენტო „წარმოე საქართველოში“ უზრუნველყოფს საპროცენტო გადახდების და ნაწილობრივ საკრედიტო გარანტიების თანადაფინანსებას კომერციული ბანკების, სალიზინგო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით. ამ ქვეკომპონენტებისთვის ამოქმედებულია მსოფლიო ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სტანდარტი 9. 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტების მიზნებისათვის, სააგენტო არის ფინანსური შუამავალი, ხოლო ბანკები, სალიზინგო კომპანიები და მიკროსაფინანსო ინსტიტუტები წარმოადგენენ მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტებს. მმსს დახმარებისა და კრიზისიდან გამოყვანის პროექტის განხორციელებაში ჩართული ყველა მონაწილე საფინანსო ინსტიტუტი ვალდებულია შეიმუშაოს და მიიღოს ან განაახლოს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინსტიტუციური სისტემა, რომელიც მოიცავს: (i) ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების პოლიტიკას; (ii) მკაფიოდ განსაზღვრულ პროცედურებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოქმედი რისკების და ქვეპროექტებზე ზემოქმედების იდენტიფიკაციის, შეფასების და მართვისთვის; (iii) ორგანიზაციულ შესაძლებლობებს და კომპეტენციას; ქვეპროექტებისა და პორტფელის წინაშე არსებული ეკოლოგიური და სოციალური რისკების მონიტორინგს და მიმოხილვას; და (iv) გარე კომუნიკაციის მექანიზმს.

5.2.1 მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების სავარაუდო ჩართულობა

39. სავარაუდო მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს უნდა ჰქონდეს შრომის მართვის შესაბამისი პროცედურები, მათ შორის პროცედურები, რომლებიც ეხება უსაფრთხო სამუშაო ადგილს და დასაქმების პირობებს, დისკრიმინაციის აკრძალვას და თანაბარ შესაძლებლობებს, საჩივრების მიღებისა და განხილვის მექანიზმებს და სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას. სავარაუდო მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების ხელმძღვანელობას უნდა ეკისრებოდეს საერთო პასუხისმგებლობა გარემოსდაცვით და სოციალურ მართვაზე. ხელმძღვანელობამ უნდა გამოყოს თანამშრომელი ან თანამშრომლები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან გარემოსდაცვითი და სოციალური პროცედურების ყოველდღიურ განხორციელებაზე; უზრუნველყოფენ ადეკვატური რესურსის ხელმისაწვდომობას გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვისა და მათ შესახებ თანამშრომელთა სწავლებისთვის; და უზრუნველყოფენ ადეკვატური ტექნიკური ცოდნის ხელმისაწვდომობას ორგანიზაციის შიგნით ან გარე ექსპერტების დახმარებით ჯეროვანი ზედამხედველობის განსახორციელებლად და ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების სამართავად.

დიაგრამა 4. სავარაუდო მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მიერ განაცხადის წარდგენის პროცესი



40. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ განიხილავს და გადაამოწმებს სავარაუდო მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინსტიტუციური სისტემების ხარისხს მათთან ხელშეკრულების გაფორმებამდე და მმსს-ებისთვის პროექტის დაფინანსების მიწოდებამდე. სააგენტო ასევე პასუხისმგებელი იქნება პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მიერ მიღებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემების ქმედითუნარიანობაზე 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტებით მხარდაჭერილი საქმიანობის განხორციელებისას. მსოფლიო ბანკი განიხილავს მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინსტიტუციურ სისტემებს, რომ დაადასტუროს მათი არსებითი შესაბამისობა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სტანდარტ 9-ის მოთხოვნებთან. იმ კომერციული ბანკების, სალიზინგო კომპანიების და მიკროსაფინანსო ინსტიტუტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ, მაგრამ სურთ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემების შემუშავება, პროექტის მიერ შეთავაზებული იქნება ტექნიკური დახმარება ამგვარი სისტემების შემუშავებისა და/ან განახლების მიზნით და შემდეგ ისინი შეძლებენ პროექტის დაფინანსების მიღებას.

41. პროექტში ჩართული ყველა მონაწილე საფინანსო ინსტიტუტი ვალდებულია ჰქონდეს მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინსტიტუციური სისტემა. ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის

სტანდარტ 9-ის შესაბამისად, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა დაბალი და საშუალო რისკის მატარებელი ქვეპროექტებისთვის (პირველი ტიპის კონტრაქტი) შეიძლება განხორციელდეს ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ხოლო არსებითი რისკის მატარი ქვეპროექტები უნდა ასრულებდეს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის პრინციპების სახელმძღვანელოს მოთხოვნებს. თუ რომელიმე მონაწილე საფინანსო ინსტიტუტი განაახლებს თავის არსებულ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინსტიტუტური სისტემას იმისათვის, რომ დააკმაყოფილოს მსოფლიო ბანკის მოთხოვნები არსებითი რისკის მატარებელი ქვეპროექტების დაფინანსებასთან დაკავშირებით, მათ შეეძლება არსებითი რისკის მატარებელი ქვეპროექტების დაფინანსება პროექტის თანხებით (მეორე ტიპის კონტრაქტი). ეს უნდა აისახოს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების შორის გაფორმებულ კონტრაქტებში.

42. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინსტიტუტური სისტემა მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს საშუალებას აძლევს მუდმივად განახორციელონ დაფინანსებული ქვეპროექტებით განპირობებული ეკოლოგიური და სოციალური რისკების და მათი ზემოქმედების გამოვლენა, შეფასება, მართვა და მონიტორინგი. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემა მოიცავს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის პროცედურებს და ინსტიტუტური საფუძვლებს, რომლებიც მონაწილე საფინანსო ინსტიტუტს აძლევს გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების და ზემოქმედების ადეკვატური მართვის საშუალებას. საჭირო პროცედურებში გათვალისწინებულია შემდეგი:

- ყველა ქვეპროექტის სკრინინგი, განხილვა და კლასიფიკაცია გარემოსდაცვითი და სოციალური რისკებისა და პოტენციური ზემოქმედების შესაბამისად;
- ყველა ქვეპროექტის განხორციელების უზრუნველყოფა გარემოსდაცვითი და სოციალური კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად;
- იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა ქვეპროექტი, რომელიც არსებითი რისკებს მატარია ან ზემოქმედებას ახდენს გარემოზე, საზოგადოების ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე, შრომისა და სამუშაო პირობებზე, ბიომრავალფეროვნებაზე ან კულტურულ მემკვიდრეობაზე, ეროვნული რეგულაციების გარდა, იყენებდეს შესაბამისი ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სტანდარტების შესაბამის მოთხოვნებს;
- მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებსა და მსესხებელს შორის გაფორმებულ სამართლებრივ ხელშეკრულებებში შეტანილი უნდა იქნეს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სტანდარტების მოთხოვნების გამოყენების ვალდებულება ისეთი ქვეპროექტების განხორციელებისას, რომლებიც არსებითი რისკების მატარია გარემოსთვის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის, შრომითი ურთიერთობებსა და სამუშაო პირობებისთვის, ბიომრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობისთვის;
- ქვეპროექტების მიმდინარეობის ზედამხედველობა გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების თვალსაზრისით, პრობლემების იდენტიფიცირება და მათ მოგვარებაზე

მსესხებლებთან მუშაობა, ქვეპროექტების რისკის დონის შესაძლო ცვლილების საჭიროების გამოვლენა და დამატებითი მოთხოვნების შემოღება, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს რისკის დონის ამაღლების შემთხვევაში;

- ქვეპროექტების პორტფელზე გარემოსდაცვითი და სოციალური ზედამხედველობის განხორციელების შესახებ ჩანაწერების წარმოება და სააგენტოსთვის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ჯეროვანი ზედამხედველობის ანგარიშების რეგულარული წარდგენა.

5.2.2 გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტებისთვის

43. ქვეპროექტები 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტების ფარგლებში გაიცხრილება მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების შესაბამისი პერსონალის მიერ (გარემოს დაცვისა და სოციალური ექსპერტები). გარდა ამისა, გარემოს დაცვისა და სოციალური სპეციალისტები სააგენტოში „აწარმოე საართველოში“ განახორციელებენ პერიოდულ მონიტორინგს და ზედამხედველობას და განიხილავენ მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მიერ წარდგენილ მონიტორინგის ანგარიშებს, რომ უზრუნველყონ სკრინინგისა და რისკის მართვის წარმართვა ამ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტის და პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმის შესაბამისად. სააგენტო მსოფლიო ბანკს წარუდგენს ნახევარწლიურ ანგარიშებს, მათ შორის ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების შესახებ. მსოფლიო ბანკი უზრუნველყოფს ყველა ქვეპროექტის წინასწარ განხილვას დაწყებიდან ექვს თვემდე ვადაში, რა დროისთვისაც ბანკი და სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ განიხილავენ შემდგომ ეტაპზე გადასვლას ზოგიერთი, უმეტესი ან ყველა ქვეპროექტისთვის.
44. ქვეპროექტების სკრინინგი დაიწყება იმგვარი საქმიანობის გაცხრილვით, რომელიც წარმოდგენილია მსოფლიო ბანკის ჯგუფის გამონაკლისთა ჩამონათვალში. იმ საწარმოების მიერ განხორციელებული ქვეპროექტები, რომლებიც არ ფლობენ ეროვნული კანონმდებლობით ქვეპროექტის საქმიანობისთვის საჭირო ლიცენზიებს / ნებართვებს ან რომლებსაც წარსულში დაკისრებული ჰქონდათ სანქცია საქართველოს გარემოს დაცვის და სოციალური კანონმდებლობის დარღვევის გამო, ასევე გაიცხრილება. თუ თანახმად საქართველოს კანონისა გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის შესახებ, სესხის განმცხადებელი მოითხოვს გარემოსდაცვითი ექსპერტიზის დადებით დასკვნას (გარემოზე ზემოქმედების ნებართვას), მაგრამ ჯერ არ მიუღია იგი, მან უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება გარემოზე ზემოქმედების შეფასების მიმდინარეობის ან მისი ანგარიშის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის წარდგენის შესახებ, იმისათვის, რომ მოხდეს სასესხო განაცხადის დამტკიცება. მისს პროექტის დაფინანსება არ შეიძლება გაიცეს ასეთ ქვეპროექტზე, სანამ არ იქნება მიღებული


გარემოსდაცვითი ექსპერტიზის დადებითი დასკვნა; თუმცა, შეიძლება გამოყენებულ იქნას რეტროაქტიული დაფინანსების მექანიზმი.

45. საქმიანობები, რომლებიც ჩამოთვლილია გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის შესახებ საქართველოს კანონის I დანართში (ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტის დანართი 3), *შეფასდება მაღალი რისკის მატარებლად და არ დაფინანსდება მშსს-ების დახმარებისა და კრიზისიდან გამოყვანის პროექტის ფარგლებში.*
46. საქმიანობები, რომლებიც ჩამოთვლილია გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ საქართველოს კანონის II დანართში (იხ. (ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტის დანართი 4), ძირითადად შეფასდება როგორც *არსებითი რისკის მქონე და დააკმაყოფილებს პროექტის მხარდაჭერის მიღების კრიტერიუმებს, თუ გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა ამ საქმიანობებისთვის განხორციელდება მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის პრინციპების სახელმძღვანელოს შესაბამისად.* ეს ასახება სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს შორის გაფორმებულ კონტრაქტში (მეორე ტიპის კონტრაქტი). საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის შესახებ გადაწყვეტილების მიმღებად (საჭიროებენ თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელებას და გარემოსდაცვითი დასკვნის გაცემას) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასახელებს. თუ გარემოზე ზემოქმედების შეფასება გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, ის უნდა განხორციელდეს და მსესხებელს უნდა ჰქონდეს გარემოსდაცვითი დასკვნა პროექტის დაფინანსების მისაღებად. ალტერნატიულად, მსესხებელს უნდა ჰქონდეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი სკრინინგის დასკვნა, რომელიც აღნიშნავს რომ არ არის საჭირო გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხორციელება პროექტთან დაკავშირებული უმნიშვნელო რისკების და მოსალოდნელი ზემოქმედების გამო. საქმიანობები, რომლებიც არ არის ჩამოთვლილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნული კოდექსის I ან II დანართში, არსაჭიროებს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და რაიმე ნებართვის გაცემას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.
47. საქმიანობები, რომელიც არ არის ჩამოთვლილი ეროვნული კოდექსის I და II დანართებში, სავარაუდოდ, დაბალი ან საშუალო რისკის მატარია. ეს გადამოწმდება მონაწილე საფინანსო ინსტიტუტის გარემოსდაცვითი და სოციალური ექსპერტის მიერ და მსოფლიო ბანკის მხრიდან წინასწარი განხილვის დროს. მოსალოდნელია, რომ პროექტის განხორციელების საწყის ეტაპზე მხოლოდ დაბალი და საშუალო რისკის მქონე ქვეპროექტები (პირველი ტიპის კონტრაქტი) იქნება მხარდაჭერილი პროექტის მიერ. მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მიერ ცოდნისა და გამოცდილების დაგროვებასთან ერთად მსოფლიო ბანკის ბუნებრივი და სოციალური მართვის პრინციპების სახელმძღვანელოს მოთხოვნების გამოყენებაში შესაძლებელი გახდება მნიშვნელოვანი

რისკის მატარი ღონისძიებების დაფინანსებაც პროექტის ფარგლებში. *მაღალი რისკის მატარი განაცხადები სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ შეიძლება სხვა წყაროებიდან დააფინანსოს. სააგენტოს და მსოფლიო ბანკის მხრიდან პროექტის განხორციელების მიმდინარეობის მიმოხილვის შემდეგ, პროექტის დაწყებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში, და სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ გარემოსდაცვითი და სოციალურ იმართვის ინსტიტუციური სისტემის ფარგლებში რისკის სკრინინგის მექანიზმის გაძლიერების პირობით, პროექტმა შეიძლება დააფინანსოს არსებითი რისკის და ზემოქმედების მქონე ქვეპროექტები (მე-2 კონტრაქტი), ისე, რომ საბოლოოდ ორი ტიპის კონტრაქტი (პირველი და მეორე) გაერთიანდება.*

48. კომერციული ბანკების უმრავლესობის მიერ ამჟამად გამოყენებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინსტიტუციური ჩარჩოები მოიცავს სესხების რისკის კლასიფიკაციას სამი კატეგორიის მიხედვით - მაღალი, საშუალო და დაბალი. ზოგიერთი ბანკი არ იყენებს რისკის კლასიფიკაციას გარკვეული თანხის ქვემოთ. ასევე, ხშირია რისკების კატეგორიების მიმაგრება სხვადასხვა სახის საქმიანობის /სამრეწველო დარგების მიმართ, ინდივიდუალური საკრედიტო განაცხადების რისკების შეფასების ნაცვლად. მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები გააგრძელებენ თავიანთი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინსტიტუციური ჩარჩოების გამოყენებას დაბალი და საშუალო რისკის ქვეპროექტების სკრინინგისა და განხორციელებისას (როგორც ეს განსაზღვრულია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტის 45-ე, 46-ე და 47- ე პუნქტებით), თუ გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინსტიტუციური ჩარჩოები შეესაბამება მსოფლიო ბანკის სხვა ფუნდამენტურ მოთხოვნებს და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის არსებულის სტემა გამოიყენება არსებითი რისკის ოპერაციების გაცხრილებისთვის (როგორც ეს განსაზღვრულია ბუნებრივი და სოციალური მართვის ჩარჩო დოკუმენტში). მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს შეიძლება დასჭირდეთ მათი არსებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინსტიტუციური სისტემების განახლება არსებითი რისკის მქონედ შეფასებული ქვეპროექტების დასაფინანსებლად მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის პრინციპების სახელმძღვანელოს მოთხოვნების შესაბამისად რისკის სკრინინგისთვის და ასევე დათანხმდნენ ეროვნულზე უფრო მაღალი სტანდარტების გამოყენებას თავისი პორტფელის გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვის მიზნით ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტის ცხრილი 1-ის შესაბამისად.

დიაგრამა 4. გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების სქემა მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების ქვეპროექტებისთვის



49. მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები, რომლებსაც შეუძლიათ პროექტის თანხების გამოყენება არსებითი რისკის ქვეპროექტებზე (მეორე ტიპის კონტრაქტი), განახორციელებენ განაცხადების თავდაპირველ სკრინინგს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეროვნული კოდექსის I და II დანართების მიხედვით და შემდგომ - სკრინინგს სპეციფიკური რისკების გამოსავლენად ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დიკუმენტის საკონტროლო კითხვარის გამოყენებით (იხ. დანართი 5) რათა დადგინდეს, თუ რა სახის შემარბილებელი ღონისძიებები უნდა იქნას გამოყენებული მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის პრინციპების სახელმძღვანელოსა და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის პრინციპების სახელმძღვანელოსა და გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ეროვნული სისტემას შორის არსებული განსხვავებების ანალიზის საფუძველზე, რომელიც მსოფლიო ბანკის მიერ 2020⁶ წელს განხორციელდა, თუ აღმოჩნდა რომ ქვეპროექტი არსებითი რისკების მატარია ბუნებრივი გარემოს, საზოგადოების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის, შრომითი და სამუშაო პირობებისთვის, ბიომრავალფეროვნების ან კულტურული მემკვიდრეობისთვის, მაშინ დამატებითი ინფორმაციის და ღონისძიებების საჭიროება უარყოფითი ზემოქმედების შესარბილებლად, სავარაუდოდ შემდეგი იქნება:

- გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის შემუშავება და განხორციელება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტის მე-6 დანართში მოცემული შაბლონის გამოყენებითა და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (სტანდარტი 1) მიერ დამტკიცებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე დაყრდნობით; სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელი ნებისმიერი კონტრაქტორის და ქვეკონტრაქტორის მხრიდან ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ამ გეგმის მიყოლა ანალოგიური დოკუმენტის კონტრაქტორისეული ვერსიის შემუშავებისა და განხორციელების გზით;
- სტანდარტი 2: პერსონალისთვის საჩივრების მიღებისა და განხილვის სისტემის დანერგვა და მართვა; სამუშაო ადგილებზე შრომის ჰიგიენისა და უსაფრთხოების წესების მკაცრი დაცვა; დადგენილი სამუშაო საათების, ხელფასების ანაზღაურების გრაფიკის, სამუშაო და დასვენების საათების, მუშაკებისთვის დღესასწაულების და შვებულების მკაცრად დაცვა, ზეგანაკვეთური სამუშაოების წესების დაცვა; მმსს-ებში 16-18 წლამდე ასაკის პირების დასაქმების შემთხვევაში, დამსაქმებლის მიერ ამასთან დაკავშირებული რისკის შეფასება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ამ ასაკობრივი ჯგუფის პირთა მიერ შესრულებული სამუშაო არ არის საფრთხის შემცველი და ხელს არ უშლის განათლებას, ფიზიკურ ან ემოციურ განვითარებას;
- სტანდარტი 3: წყალზე მაღალი მოთხოვნის მქონე პროექტებისთვის წყლის დეტალური ბალანსის შემუშავება, მონიტორინგი და ანგარიშგება და მისი ეფექტურობის გაუმჯობესების შესაძლებლობების გათვალისწინება; სათბურის გაზების მაღალი ემისიის მქონე პროექტებისთვის, აღნიშნული გაზების გამოყოფის შეფასება და მონიტორინგი, ტექნიკური და ფინანსური შესაძლებლობის ფარგლებში⁷ (სტანდარტი 3);
- სტანდარტი 4: მიმდებარე დასახლებებში და მათ ფარგლებს გარეთ ტრანსპორტის მოძრაობის მკაცრი მართვა; შემოთავაზებულ ინფრასტრუქტურაზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედების გათვალისწინება და შერბილება (ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენები და სავარაუდო ბუნებრივი კატასტროფები);

⁶ იხ. <http://documents1.worldbank.org/curated/en/105031592550795667/pdf/Analysis-of-Gaps-between-National-Legislation-of-Georgia-and-World-Bank-Environmental-and-Social-Framework.pdf> განსხვავებების ანალიზისთვის საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობას და მსოფლიო ბანკის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ჩარჩო-დოკუმენტს შორის.

⁷ მეთოდოლოგიური მხარდაჭერის მიღება შესაძლებელია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან.

ადგილობრივი მოსახლეობისთვის ეკოსისტემური მომსახურების მიწოდებაზე ზემოქმედების გათვალისწინება და შერბილება; ინფრასტრუქტურაზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის); ქვეპროექტის უზნებზე უსაფრთხოების პერსონალის გამოყენების მკაცრი კონტროლი (სტანდარტი 4); გარემოსდაცვითი და სოციალური ქცევის კოდექსის შემუშავება და დაცვა (ქცევის კოდექსის ძირითადი ელემენტებისათვის იხ. დანართი 7) და ყველა კონტრაქტორისა და ქვეკონტრაქტორისთვის, ანალოგიურად, ქცევის კოდექსის მიღების უზრუნველყოფა და დაცვა;

- პროექტის მუშაკებთან ან თემებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინციდენტის შესახებ ანგარიშგების და მოკვლევის პროცედურის შემუშავება, ძირითადი მიზეზების ანალიზის ჩათვლით და მომავალში ამგვარი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად მაკორექტირებელი ზომების შემუშავება და განხორციელება (სტანდარტი 2; სტანდარტი 4);
- სტანდარტი 6: ჰაბიტატების კლასიფიცირება ტრანსფორმირებულ, ბუნებრივ და კრიტიკულ ჰაბიტატებად; იმის დემონსტრირება, თუ როგორ არის პირობები დაცული მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით კრიტიკულ ჰაბიტატში საქმიანობისთვის, თუ ეს ასეა; ეკოსისტემური მომსახურების მდგრადი მიწოდებისათვის ზემოქმედების შეფასება და შემარბილებელი ზომების გამოყენება (სტანდარტი 6);
- სტანდარტი 8: არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობაზე (მატერიალურ ფასეულობებთან ერთად) და კულტურული მნიშვნელობის ბუნებრივ მახასიათებლებზე ზემოქმედების გათვალისწინება; ადგილობრივი მოსახლეობის მიერ კულტურული ადგილების ტრადიციული გამოყენების პატივისცემა და მათთვის ამ საიტებზე წვდომის შენარჩუნება; ამგვარი კულტურული მემკვიდრეობის კომერციული გამოყენებიდან მიღებული სარგებლის სამართლიანი გაყოფა ქვეპროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეების ჩვევების და ტრადიციების შესაბამისად (სტანდარტი 8).

50. *მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს მოეთხოვებათ მათი მსესხებლების საქმიანობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მონიტორინგი მათი ქვეპროექტების რისკის ღონის პროპორციულად; ასევე, ნებისმიერი მოულოდნელი გარემოების იდენტიფიკაცია, რამაც შეიძლება გაზარდოს ქვეპროექტების რისკი მათი განხორციელების პროცესში; მსესხებლებისგან დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნა ქვეპროექტის გაზრდილი რისკის გამო; ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე პორტფელის ზემოქმედების მართვის ჯეროვანი ზედამხედველობა და რეგულარული ანგარიშგება აღნიშნულის შესახებ სააგენტოს წინაშე.*

ცხრილი 2. რისკის რეიტინგი და კონტრაქტის ტიპები

<p><i>რისკის კლასიფიკაცია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით და კონტრაქტი</i></p>	<p align="center">დაბალი/ზომიერი</p>	<p align="center">არსებითი (სავარაუდოდ, გზშ კოდექსის II დანართი)</p>	<p align="center">მაღალი (გზშ კოდექსის I დანართი)</p>
<p>კონტრაქტი #1 მონაწილე საფინანსო ინსტიტუტს აქვს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინსტიტუციური სისტემა; მსოფლიო ბანკის დაფინანსება არ გამოიყენება არსებითი/მაღალი რისკის მქონე საქმიანობისთვის</p>	<ul style="list-style-type: none"> • მსოფლიო ბანკის გამონაკლისების ჩამონათვალი • ეროვნული გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობა გამოიყენება • საჭიროა ნებართვა და წარსულში სანქციების არქონა • მსოფლიო ბანკის მიერ წინასწარი განხილვა • აკმაყოფილებს მოთხოვნებს მსოფლიო ბანკის დაფინანსების მისაღებად • მონაწილე საფინანსო ინსტიტუტი ახორციელებს მონიტორინგს და ანგარიშგებას გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შესახებ 	<ul style="list-style-type: none"> • არ აკმაყოფილებს მსოფლიო ბანკის დაფინანსების მოთხოვნებს • სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ შეუძლია საკრედიტო წინადადების შეფასება დაფინანსების ალტერნატიული წყაროებით 	<ul style="list-style-type: none"> • არ აკმაყოფილებს მსოფლიო ბანკის დაფინანსების მოთხოვნებს • სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ შეუძლია საკრედიტო წინადადების შეფასება დაფინანსების ალტერნატიული წყაროებით
<p>კონტრაქტი #2 მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს აქვთ ბუნებრივი და სოციალური მართვის ინსტიტუციური სისტემები; მსოფლიო ბანკის დაფინანსება არსებითი რისკის მქონე საქმიანობისთვის</p>	<ul style="list-style-type: none"> • მსოფლიო ბანკის გამონაკლისების ჩამონათვალი • ეროვნული გარემოსდაცვითი და სოციალური კანონმდებლობა გამოიყენება • საჭიროა ნებართვა და წარსულში სანქციების არქონა • მსოფლიო ბანკის მიერ წინასწარი განხილვა • აკმაყოფილებს მოთხოვნებს მსოფლიო ბანკის დაფინანსების მისაღებად • მონაწილე საფინანსო ინსტიტუტი ახორციელებს მონიტორინგს და ანგარიშგებას გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების შესახებ 	<ul style="list-style-type: none"> • მსოფლიო ბანკის გამონაკლისების ჩამონათვალი • სკრინინგი გზშ-ს კოდექსის I და II დანართის მიმართ • დამატებითი სკრინინგი ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის მე-5 დანართის შესაბამისად • მსოფლიო ბანკის მიერ წინასწარი განხილვა • გზშ და გარემოს დაცვისა და სოფლის მეორეობის სამინისტროს ნებართვა შეიძლება იყოს საჭირო • საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნები გამოიყენება • საჭიროა შერბილების ღონისძიებები (მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის პრინციპების სახელშეწყობის და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად) • აკმაყოფილებს მოთხოვნებს მსოფლიო ბანკის დაფინანსების მისაღებად 	<ul style="list-style-type: none"> • არ აკმაყოფილებს მსოფლიო ბანკის დაფინანსების მოთხოვნებს • სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ შეუძლია სასესხო განახცადის შეფასება დაფინანსების ალტერნატიული წყაროებით

რისკის კლასიფიკაცია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით და კონტრაქტი	დაბალი/ზომიერი	არსებითი (საგარეოდ, გზშ კოდექსის II დანართი)	მაღალი (გზშ კოდექსის I დანართი)
		<ul style="list-style-type: none"> • მონაწილე საფინანსო ინსტიტუტი ახორციელებს მონიტორინგს და ანგარიშგებას გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე 	

51. 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტების განხორციელები მიზნით, სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ მოქმედებს როგორც ფინანსური შუამავალი და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემომედების მართვის სტანდარტი 9-ის თანახმად, ვალდებულია ქონდეს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინსტიტუციური სისტემა. ამ სისტემის ფარგლებში ინსტიტუციური ღონისძიებები მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მიერ მოთხოვნილის მსგავსი იქნება: სააგენტოს უნდა ჰყავდეს ხელმძღვანელის მიერ გამოყოფილი წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ბუნებრივი და სოციალური მართვის სისტემისპროექტის კომპონენტ 1-ის განხორციელების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ჯეროვან ზედამხედველობაზე. ეს წარმომადგენელი პასუხისმგებელი იქნება სააგენტოში გარემოს დაცვის მინიმუმ ერთი სპეციალისტის და ერთი სოციალური სპეციალისტის დაქირავებასა და შენარჩუნებაზე, ამ პერსონალის /კონსულტანტების კომპეტენციების ადეკვატურობასა და მათი საქმიანობის ხარისხზე (იხ. გარემოსდაცვითი, სოციალური და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტების ტექნიკური დავალების ნიმუში მე-8 დანართში). გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინსტიტუციური სისტემა, რომელსაც სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ მიიღებს, პროექტის სახემძღვანელო დოკუმენტში აისახება.

52. 1.1 ქვეკომპონენტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა მოიცავს კონტრაქტორი ორგანიზაციების ქვეპროექტების გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ხარისხის უზრუნველყოფას: ინფორმაციის საკმარისობა და რელევანტურობა გრანტის გაძიებლების და მათი მიზნობრივი საქმიანობის შესახებ; შევსებული გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის კითხვარების ხარისხი; გრანტის აპლიკანტების გარემოსდაცვითი და სოციალური შესაფერისობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ადეკვატურობა. სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ გარემოს დაცვის და სოციალური სპეციალისტები ასევე პასუხისმგებელი იქნებიან, რომ კონტრაქტორი ორგანიზაციებისათვის შემუშავებული ტექნიკური დავალებები ადეკვატურად შეიცავდეს ზემოაღნიშნულ პასუხისმგებლობებს გარემოსდაცვითი და სოციალური ჯეროვანი ზედამხედველობის განხორციელებასთან დაკავშირებით და რომ კონტრაქტორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მკაფიოდ განსაზღვრავდეს ტექნიკურ დავალებაში აღწერილი მოთხოვნების შესრულების ვალდებულებას.

53. 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტებით გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვა სააგენტოსგან „აწარმოე საქართველოში“ მოითხოვს უზრუნველყოს, რომ ყველა მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს ჰქონდეს გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინსტიტუციური სისტემა, რომელიც მოიცავს გარემოსდაცვით და სოციალურ პროცედურებსა და ამ პროცედურების განხორციელების ინსტიტუციურ ღონისძიებებს. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ განახორციელებს შემოწმებებს ორ წელიწადში ერთხელ იმის დასადასტურებლად, რომ მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები განაგრძობენ დანერგილი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის ინსტიტუციური სისტემების გამოყენებას პროექტით მხარდაჭერილი საქმიანობების განსახორციელებლად. **სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ უზრუნველყოფს, რომ ქვეპროექტის პორტფელის მართვასთან დაკავშირებით გარემოსდაცვითი და სოციალური ჯეროვანი ზედამხედველობის გამნახორციელების მოთხოვნა, რაც აღწერილია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის წინამდებარე ჩარჩო დოკუმენტში, ოფიციალურად შეტანილ იქნეს სააგენტოს და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში და ასევე, ამგვარი კონტრაქტების ნაწილია გამოსასწორებელი ღონისძიებები, რომლებიც სააგენტოს აძლევს მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების აღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას.** წელიწადში ორჯერ, სააგენტო თითოეულ მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს მოსთხოვს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების კომპლექსური შემოწმების ანგარიშების გაზიარებას ხუთი უმსხვილესი ქვეპროექტისთვის (საკრედიტო თანხის მიხედვით), რომლებიც დამტკიცებულია მოცემულ საანგარიშო პერიოდში. თუ ქვეპროექტში გამოვლინდება მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი და / ან სოციალური პრობლემა და ამის შესახებ მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებს აცნობებს სააგენტოს, ეს უკანასკნელი იმუშავებს მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებთან მაკორექტირებელი ღონისძიებების განსახორციელებლად. სააგენტოს შეუძლია მიმართოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან სხვა სახელმწიფო უწყებებს - მაგალითად, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით ადგილნაცვლალ პირთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შრომის ინსპექციის დეპარტამენტს, მეთოდოლოგიური / ტექნიკური დახმარებისა და სახელმძღვანელო მითითებების მისაღებად. თუ გარემოსდაცვითი და სოციალური პრობლემა ვერ მოგვარდება პროექტის მოთხოვნების შესაბამისად, სააგენტომ შეიძლება შეაჩეროს მოსარგებლის დაფინანსება.

54. მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები ხელშეკრულებით ვალდებული იქნებიან დაუყოვნებლივ (48 საათის განმავლობაში) მიაწოდონ ინფორმაცია სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინციდენტის შესახებ, რომელიც შეეხო მათ პერსონალს სამუშაო ადგილზე და/ ან კრედიტორს და რომელიც მათთვის ცნობილი გახდა, და ასევე შემდეგ მიაწოდოს დამატებით გადამოწმებული ინფორმაცია სააგენტოს მოთხოვნის შესაბამისად. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ დროულად აწვდის ასეთ ინფორმაციას მსოფლიო ბანკს.

6 შრომითი ურთიერთობები და სამუშაო პირობები

55. პროექტში ჩაერთვებიან უშუალო თანამშრომლები, სააგენტოს და ეროვნული ბანკის პერსონალი და კონტრაქტით დაქირავებული მუშაკები, კონსულტანტები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნიკურ საკონსულტაციო მომსახურებას. ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს პერსონალი, რომლებიც ახორციელებენ 2.1 და 2.2 ქვეკომპონენტების ტექნიკურ ხელმძღვანელობას, ჩაითვლებიან საჯარო მოხელეებად. პროექტი არ გამოიყენებს თემის სამუშაო ძალას.
56. საქართველოში შრომით ურთიერთობებთან და სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული რეფორმები მიმდინარეობს, რომელთა მიზანია კანონმდებლობის განმტკიცება, ასევე შრომის ინსპექციის მანდატის და შესაძლებლობების გაძლიერება. ამ რეფორმებით, სავარაუდოდ, განმტკიცდება ეროვნული კანონი შრომის კოდექსის შესახებ, კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ და კანონი შრომის ინსპექციის შესახებ (ამჟამად პროექტის სახით არსებობს). დღეისათვის შრომის ეროვნული კოდექსი შეიცავს დებულებებს დისკრიმინაციის აკრძალვის, გაერთიანების თავისუფლების, დასაქმების მინიმალური ასაკის, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების და დავის გადაწყვეტის შესახებ. თუმცა, შრომის კოდექსით გათვალისწინებული მშრომელთა უფლებების აღსრულება ამჟამად სუსტია. 2018 წლის მარტის მდგომარეობით, საქართველომ დანერგა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვის და უსაფრთხოების ინსპექტირების ზოგიერთი მექანიზმი; შრომითი ურთიერთობებისა და სამუშაო პირობების სხვა ასპექტებისთვის ასეთი მექანიზმები ჯერ არ არსებობს.

პირდაპირ და კონტრაქტით დაქირავებული მუშაკები

57. პროექტის ფარგლებში პირდაპირ და კონტრაქტით დაქირავებულ მუშაკებში შედის სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პერსონალი და კონსულტანტები, კონტრაქტორი ორგანიზაციების პერსონალი და კონსულტანტები, რომლებიც მონაწილეობენ კომპონენტ 1-ის განხორციელებაში, ეროვნული ბანკისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანამშრომლები და კონსულტანტები, რომლებიც მონაწილეობენ მე-2 კომპონენტში, ისევე როგორც პროექტის განხორციელების მიზნით აღნიშნული უწყებების მიერ დასაქმებული ნებისმიერი სხვა კონსულტანტი და თანამშრომელი.
58. სააგენტოს და სეზ-ს, როგორც სახელმწიფო უწყებებს, აქვთ ადამიანური რესურსების მართვის შიდა პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას. ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანამშრომლები საჯარო მოხელეები არიან. პროექტის ფარგლებში სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ გააძლიერებს ადამიანური რესურსების პოლიტიკის შერჩეულ ასპექტებს, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სტანდარტ 2-თან არსებითი შესაბამისობის მისაღწევად, მაგალითად, შეიმუშავებს საჩივრების მართვის მკაფიო მექანიზმს თავისი

თანამშრომლებისთვის და შემოიღებს ქცევის კოდექსის ხელმოწერის მოთხოვნას. მშრომელთა საჩივრების მიღებისა და განხილვის მექანიზმის ზოგადი მაგალითი მოცემულია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ამ ჩარჩო დოკუმენტის მე-9 დანართში.

59. კონტრაქტორი ორგანიზაციები, თავიანთ ტექნიკურ დავალებებში და კონტრაქტებში შეტანილი პირობების შესაბამისად, იკისრებენ შრომის ეროვნული კანონმდებლობის (შრომის კოდექსი, შრომის უსაფრთხოების კანონი) დაცვის და თავისი თანამშრომლებისთვის საჩივრების მოქმედი მექანიზმის შენარჩუნების ვალდებულებას.
60. ანალოგიურად, პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი მონაწილე საფინანსო ინსტიტუტი იკისრებს ვალდებულებას შეინარჩუნოს და შეასრულოს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს, დანერგოს ან შეინარჩუნოს (თუ უკვე არსებობს) საჩივრების მოქმედი მექანიზმი თავისი თანამშრომლებისთვის და უზრუნველყოს პროექტის მუშაკების ინფორმირება პოლიტიკის და საჩივრების მექანიზმის და მასთან წვდომის შესახებ.
61. პროექტის პირდაპირი და დაქირავებული მუშაკებისთვის ხელმისაწვდომი საჩივრების მიღებისა და განხილვის მექანიზმი მოიცავს დებულებებს სექსუალური ექსპლუატაციას და ძალადობის და სექსუალური შევიწროების შესახებ საჩივრების უსაფრთხო და კონფიდენციალური მიღების, გადაცემის და რეაგირებისთვის (დანართი 9).

მოსაერგებლე მმსს-ების თანამშრომლები

62. ჯეროვანი ზედამხედველობა შრომითი და სამუშაო პირობების შესახებ პროექტით მოსაერგებლეთა (მმსს) საქმიანობის ფარგლებში ინტეგრირებული იქნება მონაწილე საფინანსო ინსტიტუციების ჯეროვანი ზედამხედველობის პროცესში, რომელიც დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი მათ კორპორაციულ გარემოსდაცვით და სოციალურ სისტემებში.
63. დაბალი და საშუალო რისკის შემცველი საქმიანობისთვის, ჯეროვანი ზედამხედველობა შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ქვე-მსესხებლის ხელშეკრულებები, რომელსაც ხელს მოაწერენ ბენეფიციარი მმსს-ები, მოიცავს ყველა მოქმედი ეროვნული კანონის დაცვის ვალდებულებას შრომით და სამუშაო პირობებთან და სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელებას ეროვნულ კანონმდებლობასთან ნებისმიერი შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში.

64. არსებითი რისკის შემცველი საქმიანობისთვის შეიძლება შემოღებულ იქნეს დამატებითი მოთხოვნები ეროვნული კანონმდებლობის და სტადარტ 2-ის შესაბამისად, მმსს-ების ვალდებულებებთან დაკავშირებით საქმიანობის ტიპიდან და დარგობრივი რისკებიდან გამომდინარე. არსებითი რისკის მატარებელ ოპერაციებს სულ მცირე უკავშირდება შემდეგი მოთხოვნები:

- შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურების, მათ შორის, სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვის და უსაფრთხოების გეგმის შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი. შრომითი ურთიერთობის მართვის პროცედურები მოიცავს: დებულებებს შრომის პირობების შესახებ; დაქირავებისა და სამსახურიდან გათავისუფლების პროცედურებს; დისკრიმინაციის აკრძალვას; სამუშაო ადგილზე სექსუალური ექსპლუატაციის და ძალადობის და სექსუალური შევიწროვების აკრძალვას; კომპანიისა და ყველა თანამშრომლის მიერ ქცევის კოდექსის მიღებას; 18 წლამდე ასაკის დასაქმებულთა რისკის შეფასებას ან 18 წლამდე ასაკის მუშაკთა დასაქმების აკრძალვას საფრთხის შემთხვევაში; სხვა საკითხებთან ერთად, ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების პირობებს და შეზღუდვებს;
- ყველა კონტრაქტორისა და ქვეკონტრაქტორის მიერ შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურების მიღება, მმსს შრომითი ურთიერთობების მართვის პროცედურების შესაბამისად;
- სექსუალური ექსპლუატაციის და ძალადობის და სექსუალური შევიწროვების შესახებ საჩივრების მიმართ მართვის მექანიზმის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა თანამშრომლისთვის;
- ადგილზე სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვის და უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის ყოფნის უზრუნველყოფა;
- შრომითი და სამუშაო პირობების და კომპანიის საქმიანობაში სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვის და უსაფრთხოების რეგულარული მონიტორინგის და ანგარიშგების უზრუნველყოფა.

65. ბუნებრივი და სოციალური გარემოზე ზემოქმედების ჯეროვანი ზედამხედველობის ანგარიშები, რომლებიც უნდა მომზადდეს პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მიერ, მოიცავს თავებს შრომითი ურთიერთობების და სამუშაო პირობების, მათ შორის ზემოთ ჩამოთვლილი თემების შესახებ, საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის პროპორციული ფორმით. არსებითი რისკის მატარი ოპერაციებისათვის შემუშავდება მონიტორინგის ცალკე ფორმები შრომისა და სამუშაო პირობებისთვის და სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის დაცვის და უსაფრთხოებასთან შესაბამისობისთვის. აღნიშნული შეესაბამება საერთაშორისო კარგ ინდუსტრიულ პრაქტიკას, რომელიც სპეციფიკურია შრომის სექტორისთვის.⁸

⁸ იხ. საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის გარემოსდაცვითი, ჯანდაცვის და უსაფრთხოების სახელმძღვანელო მითითებები: https://www.ifc.org/wps/wcm/connect/topics_ext_content/ifc_external_corporate_site/sustainability-at-ifc/policies-standards/ehs-guidelines

7 დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა, საჩივრების მიღებისა და განხილვის მექანიზმი

66. სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ მსოფლიო ბანკის მოთხოვნების შესაბამისად მოამზადა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა. ამ გეგმის მიზანია ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველყოფა რომელთაც აქვთ ინტერესი პროექტის მიმართ ან შესაძლოა მოექცნენ მისი ზემოქმედების ქვეშ. გეგმა განსაზღვრავს სამიზნე ჯგუფებს და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მეთოდებს და პასუხისმგებლობებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობის განხორციელების პროცესში. გეგმის მიზანია დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დროულად გააქტიურება პროექტის მომზადებისა და განხორციელების პროცესში.
67. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა შეიცავს პროექტით დაინტერესებული მხარეების ჩამონათვალს, მათ შორის ფიზიკურ პირებს, საწარმოებს, სხვა სუბიექტების ჯგუფებს, რომლებიც: (i) არიან ან სავარაუდოდ მოექცევიან პროექტის პირდაპირი ან არაპირდაპირი, დადებითი ან უარყოფითი ზემოქმედების ქვეშ (ასევე ცნობილი არიან როგორც "ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეები"), (ii) შეიძლება დაინტერესდნენ პროექტით ("სხვა დაინტერესებული მხარეები"). მათ შორის არიან ფიზიკური პირები ან ჯგუფები, რომელთა ინტერესებზეც შეიძლება გავლენა იქონიოს პროექტმა და რომელსაც აქვს პოტენციური გავლენა პროექტის შედეგებზე რაიმე ფორმით.
68. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა განსაზღვრავს პოტენციურად მოწყვლად და დაუცველ დაინტერესებულ მხარეებს და აღწერს დიფერენცირებულ ღონისძიებებს, რომლებსაც პროექტი განახორციელებს აღნიშნული მხარეების თანასწორი მონაწილეობის და პროექტით სარგებლობის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად. სხვა ღონისძიებებში შედის მოკლე ტექსტური შეტყობინებების სერვისი (SMS), სატელეფონო ზარები, სოციალური მედია და ა.შ., სოციალური დისტანცირების მოთხოვნების გათვალისწინებით (COVID-19 პანდემიის გამო), ადგილობრივ, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ენებზე თემში, სადაც უმცირესობის ჯგუფების მაღალი კონცენტრაციაა; შეხვედრების, კონსულტაციების, სემინარების ან სწავლების ჩატარება შეზღუდულ შესაძლებლობათა მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომ ადგილებზე და შენობებში; საინფორმაციო კამპანიის და საკონსულტაციო საქმიანობის ასაკობრივი და გენდერული დაბალანსება და / ან სათანადო ღონისძიებების განხორციელება თუ არასაკმარისადაა წარმოდგენილი საწარმოები, სადაც ქალები და ახალგაზრდები არიან ხელმძღვანელები ან პოტენციურად მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები; ასევე ინფორმაციის გავრცელების გეგმების შემუშავება და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებთან ურთიერთობა, როგორებიცაა ქალთა ასოციაციები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ასოციაციები, უმცირესობათა ჯგუფები და ა.შ. კონკრეტული რეგიონისთვის აქტუალურობიდან გამომდინარე.

69. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა აღწერს საჩივრების მიღებისა და განხილვის მექანიზმს პროექტისთვის. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს მრავალ არხს მოქალაქეებისთვის გამოხმაურების ან საჩივრის წერილობითი ფორმით ან სატელეფონო ცხელი ხაზის/ მობილურის, ფოსტის, სოციალური მედიის (Facebook და ა.შ.), ელექტრონული ფოსტის, ვებსაიტის, კონტრაქტორი ორგანიზაციის საშუალებით მიწოდებას და უშუალოდ სააგენტოსთვის გაგზავნას. სააგენტოში „აწარმოე საქართველოში“ გამოყოფილი საკონტაქტო პირი პასუხისმგებელი იქნება საჩივრების მექანიზმის საერთო მართვაზე, მის შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ანგარიშგებაზე. 1.1 ქვეკომპონენტისთვის სააგენტო ან კონტრაქტორი ორგანიზაციები შეასრულებენ როლს საჩივრების მიღებისა და განხილვის მექანიზმის ადმინისტრირებაში შესაბამის რეგიონებში.
70. მონაწილე საფინანსო ინსტიტუტები შეიმუშავებენ და დანერგავენ გარე კომუნიკაციის მექანიზმს, როგორც მათი კორპორაციული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემის ნაწილს. ეს მექანიზმი საშუალებას მისცემს პროექტით მოსარგებლებს და მათ, ვისაც მიაჩნია, რომ პრივეტით მოსარგებლეთა საქმიანობის უარყოფითი გავლენის ქვეშ იმყოფება, წარადგინონ საჩივრები, გამოხმაურება, მოკვლევა და მოსაზრებები პროექტის პოლიტიკის, სახელმძღვანელო მითითებების ან პროცედურების დარღვევის შესახებ, მათ შორის, არასრულწლოვანთა შრომასთან, მშრომელთა ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან, სამუშაო ადგილზე შევიწროებასთან დაკავშირებით. გარე კომუნიკაციის მექანიზმი ასევე იძლევა ანონიმური საჩივრის წარდგენის საშუალებას. გარემო კომუნიკაციის მექანიზმის დეტალები ასევე წარმოდგენილი იქნება პროექტის სახელმძღვანელო დოკუმენტში.

8 მონიტორინგი და ანგარიშგება

71. სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ექვს თვეში ერთხელ ანგარიშს წარუდგენს მსოფლიო ბანკს პროექტის ფარგლებში განხორციელებული გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის შესახებ. ანგარიშგება მოიცავს რაოდენობრივ ინფორმაციას და გარემოსდაცვითი და სოციალური კომპლექსური შემოწმების ანალიზს, რომელიც გამოიყენება სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ და კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ 1.1 ქვეკომპონენტის შესაბამისად და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მიერ 1.2 და 1.3 ქვეკომპონენტების შესაბამისად. ანგარიშები შეიცავს ინფორმაციას მიკროგრანტების განაცხადებისა და ქვეპროექტების რაოდენობის შესახებ, რომელთა სკრინინგი და განხილვა განხორციელდა თითოეული კონტრაქტორი ორგანიზაციის / მონაწილე საფინანსო ინსტიტუტის მიერ; ასევე ამ პროგრამების / ქვეპროექტების რისკების კლასიფიკაციას; პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის სისტემასთან შესაბამისობის სტატუსს; ასევე ინფორმაციას მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური საქმიანობის შესახებ. რეგულარული ნახევარწლიური ანგარიშების შაბლონები და ნებისმიერი გაუთვალისწინებელი შეტყობინებები (უბედური

შემთხვევების შესახებ და ა.შ.) დეტალურად იქნება აღწერილი პროექტის სახელმძღვანელო დოკუმენტში (იხ. დანართი 10 ძირითადი მითითებებისთვის). მსოფლიო ბანკი უზრუნველყოფს ყველა ქვეპროექტის წინასწარ განხილვას დაწყებიდან ექვსი თვის ვადაში, რა დროსაც ბანკი და სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ გადახედავენ განხილვის შემდგომ ეტაპზე გადასვლის შესაძლებლობას ზოგიერთი, უმეტესი ან ყველა ქვეპროექტისთვის. წინასწარი და შემდგომი განხილვის დეტალები აღწერილი იქნება პროექტის სახელმძღვანელო დოკუმენტში, მაგრამ ზედამხედველობა დაეფუძნება ქვეპროექტებისთვის მომზადებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმებს.

დანართი 1. მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ შემუშავებული გამონაკლისების ჩამონათვალი

- ნებისმიერი პროდუქტით ვაჭრობა ან მისი წარმოება ან საქმიანობის განხორციელება ან საქმიანობა, რომელიც მიჩნეულია უკანონოდ ქვეყნის კანონმდებლობის, რეგულაციების ან საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებების შესაბამისად, ან ექვემდებარება საერთაშორისო აკრძალვას; ასეთი პროდუქტებია ფარმაცევტული ნაწარმი, პესტიციდები/ ჰერბიციდები, ოზონის დამაზიანებელი ნივთიერებები, პოლიქლორბიფენილი, პროდუქტები რომლებიც რეგულირდება კონვენციით „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ (CITES);
- ზრდასრული პირების გართობის საშუალებებით ვაჭრობა ან მათი წარმოება;
- იარაღით და საბრძოლო მასალით ვაჭრობა ან მათი წარმოება⁹;
- ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობა ან მათი წარმოება (ღვინისა და ლუდის გარდა)⁹;
- თამბაქოს წარმოება და ვაჭრობა⁹.
- აზარტული თამაშები, კაზინოები და ეკვივალენტური საწარმოები⁹;
- რადიოაქტიური მასალების წარმოება ან ვაჭრობა. ეს არ ეხება სამედიცინო აღჭურვილობის, ხარისხის კონტროლის (გაზომვის) და ნებისმიერი აღჭურვილობის შეძენას, სადაც მსოფლიო ბანკი მიიჩნევს, რომ რადიოაქტიური წყარო ტრივიალურია და / ან ადეკვატურად დაცულია..
- აზბესტის ბოჭკოებით ვაჭრობა ან მათი წარმოება. ეს არ ეხება დაკავშირებული აზბესტის ცემენტის ფურცლების შეძენას და გამოყენებას სადაც აზბესტის შემცველობა 20%-ზე ნაკლებია.
- საზღვაო გარემოში თევზაობა ბადით, რომლის სიგრძე 2,5 კმ-ს აღემატება;
- წარმოება ან საქმიანობა, რომელიც იყენებს ბავშვის იძულებით შრომას,¹⁰ ზიანის მომტანია და წარმოადგენს ექსპლუატაციის ფორმას¹¹;
- მნიშვნელოვანი მოცულობის საფრთხის შემცველი ქიმიკატების წარმოება, ვაჭრობა, შენახვა ან ტრანსპორტირება, ან საშიში ქიმიკატების გამოყენება კომერციული მასშტაბით. საფრთხის შემცველი ქიმიკატების შემადგენლობაში შედის ბენზინი, ნავთი და სხვა ნავთობპროდუქტები.
- კომერციული სატყეო სამუშაოები ან სატყეო მოწყობილობების შეძენა პირველად ტროპიკულ ტენიან ტყეში გამოყენებისთვის;
- მერქნის ან სხვა სატყეო პროდუქტებით ვაჭრობა და მათი წარმოება ისეთი ტყეებიდან, რომლებიც მდგრადი მართვის ქვეშ არ იმყოფება;

⁹ ეს არ ეხება პროექტის სპონსორებს ვინც არ არიან არსებითად ჩართულნი აღნიშნულ საქმიანობებში. „არ არის არსებითად ჩართული“ ნიშნავს რომ ეს საქმიანობა არის დამხმარე პროექტის სპონსორის ძირითადი საქმიანობისთვის

¹⁰ იძულებითი შრომა ნიშნავს ყველა არანებაყოფლობით სამუშაოს ან მომსახურებას, რომლის შესრულებაც ხდება ძალის გამოყენების მუქარის ან ჯარიმის დაკისრების შიშის ქვეშ

¹¹ ბავშვისთვის ზიანის მომტანი იძულებითი შრომა ნიშნავს ბავშვების ეკონომიკური თვალსაზრისით ექსპლუატაციურ დასაქმებას, ან საქმიანობას რომელიც საფრთხის შემცველია ბავშვის განათლებისთვის, ჯანმრთელობისთვის, ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური ან სოციალური განვითარებისთვის.

- ნარჩენებით ან ნარჩენი პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობა, გადამუშავებისთვის განკუთვნილი უვნებელი ნარჩენების გარდა;
- მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები (POPs);
- მშრომელთა ფუნდამენტური პრინციპებისა და სამუშაო უფლებების შეუსრულებლობა;
- ეროვნული პარკის ან მსგავსი დაცული ტერიტორიის მნიშვნელოვანი დეგრადაცია;
- უძრავი ქონებით სპეკულაცია.

დანართი 2. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის სკრინინგის ფორმა მიკროგრანტის პროგრამიდან (ქვეკომპონენტი 1.1)

მ/სს დასახელება:			
მ/სს საგადასახადო კოდი:		ბიზნესის საიდენტიფიკაციო კოდი:	
ოფიციალური წარმომადგენელი:			
მისამართი:			
ელ-ფოსტა:		ტელ. ნომერი:	
გრანტის დანიშნულება:			
განხორციელებული შედეგები:		თარიღი:	

ვაცხადებ რომ:	კი	არა	არ არის დარწმუნებული	კომენტარები
1. ჩემი მიკრო ან მცირე ბიზნესის მიერ განხორციელებული საქმიანობები არ შედის მსოფლიო ბანკის ჯგუფის გამონაკლისების ჩამონათვალში				
2. არ ვყოფილვარ დაჯარიმებული ან არ მქონია სანქცია დაკისრებული საქმიანობის განმავლობაში გარემოს დაცვის, საზოგადოების ან / და სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების, ან / და შრომის კანონმდებლობის / რეგულაციების დარღვევის გამო;				
3. შემძლია წარმოვადგინო მტკიცებულება, რომ ვფლობ ყველა ნებართვას / ლიცენზიას, რომელიც საჭიროა ეროვნული კანონმდებლობით შესასრულებელი საქმიანობისთვის და მე ვარ ყველა მიწის ნაკვეთის კანონიერი მფლობელი, რომელზეც ხორციელდება დაფინანსებული საქმიანობა.;				
4. შემოთავაზებული საქმიანობა არ იწვევს ადამიანების ეკონომიკურ ან ფიზიკურ გადაადგილებას მიწის შესყიდვის გამო;				
5. განხორციელებული შემოთავაზებული საქმიანობა არ წარმოებს ეროვნულ და / ან საერთაშორისო დონეზე დაცულ ტერიტორიაზე, ან კულტურის ძეგლის ან მის მოსაზღვრე ტერიტორიაზე..				

შენიშვნები:

თუ მინიმუმ ერთ კითხვაზე პასუხი არის "არა", განაცხადი არ აკმაყოფილებს საგრანტო დაფინანსების მოთხოვნებს. თუ 1-5 კითხვაზე პასუხი "კი" და / ან "არ არის დარწმუნებული", აპლიკანტი განიხილება შერჩევის შემდგომი ეტაპებისთვის.

დასკვნა:	გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი	გაიარა		ვერ გაიარა	
----------	---------------------------------------	--------	--	------------	--

მსოფლიო ბანკის გამონაკლისების ჩამონათვალი დაფინანსებასთან დაკავშირებით

ქვეყნის კანონების, რეგულაციების, ან რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებების თანახმად უკანონოდ მიჩნეული საქმიანობა, იარაღის და საბრძოლო მასალების წარმოება, ზრდასრულთა გართობა, ალკოჰოლური სასმელები (ღვინისა და ლუდის გარდა), თამბაქო, აზარტული თამაშები, კაზინოები და ეკვივალენტი საწარმოები, ველური ბუნების პროდუქტები რომლებიც რეგულირდება კონვენციით „გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ (CITES); რადიოაქტიური მასალები ან აზბესტის ბოჭკოები; კომერციული სატყეო სამუშაოები ან სატყეო მოწყობილობების შექმნა პირველად ტროპიკულ ტენიან ტყეში გამოყენებისთვის; პოლიქლორირებული ბიფენილის ნაერთები (PCB, სინთეზური ორგანული ქიმიკატების კლასი); ფარმაცევტული საშუალებები, რომლებიც ექვემდებარება საერთაშორისო ამოღებას ან აკრძალვას; პესტიციდები / ჰერბიციდები, რომლებიც ექვემდებარება საერთაშორისო ამოღებას ან აკრძალვას; ოზონის დამშლელი ნივთიერებები, რომლებიც ექვემდებარება საერთაშორისო ამოღებას; საზღვაო გარემოში თევზაობა ბადით, რომლის სიგრძე 2,5 კმ-ს აღემატება; ნარჩენებით ან ნარჩენი პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობა, გადამუშავებისთვის განკუთვნილი უვნებელი ნარჩენების გარდა; მუდმივი ორგანული დამაბინძურებლები (POPs); მშრომელთა ფუნდამენტური პრინციპებისა და სამუშაო უფლებების შეუსრულებლობა; ეროვნული პარკის ან მსგავსი დაცული ტერიტორიის მნიშვნელოვანი დეგრადაცია; უძრავი ქონებით სპეკულაცია.

დანართი 3. საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესახებ - “დანართი I”

I დანართით გათვალისწინებული საქმიანობები

1:

- 1.1. ნედლი ნავთობის (გარდა საზეთ-საპოხი მასალისა) გადამუშავება;
- 1.2. დღე-ღამეში 500 ტონა ან მეტი ქვანახშირის ან ბიტუმოვანი ფიქლის გათხიერება ან/და გაზიფიცირება.
- 2.10 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის თბოელექტროსადგურის ან/და წვის სხვა დანადგარის მშენებლობა და ექსპლუატაცია.
3. ატომური ელექტროსადგურის ან სხვა ბირთვული რეაქტორის განთავსება, მისი დემონტაჟისა და დეკომისიის ჩათვლით, გარდა იმ კვლევითი დანადგარისა, რომელიც გამოიყენება დაშლადი მასალების, ბირთვული საწვავის წარმოებისა და გარდაქმნისათვის, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე 1 კილოვატ უწყვეტ სითბურ დატვირთვას არ აღემატება.
4. ისეთ საქმიანობასთან დაკავშირებული დანადგარი, რომლის დანიშნულებაა:
 - 4.1. ბირთვული საწვავის წარმოება ან/და გამდიდრება;
 - 4.2. დასხივებული ბირთვული საწვავის ან მაღალი აქტივობის მქონე რადიოაქტიური ნარჩენების გადამუშავება;
 - 4.3. დასხივებული ბირთვული საწვავის საბოლოო განთავსება სამარხში;
 - 4.4. დასხივებული ბირთვული საწვავის ან რადიოაქტიური ნარჩენების საწარმოო ტერიტორიის გარეთ შენახვა, თუ დაგეგმილია მათი 3 წელზე მეტი ვადით შენახვა;
 - 4.5. რადიოაქტიური ნარჩენების საბოლოო განთავსება სამარხში.
5. თუჯის, ფოლადის ან/და ფეროშენადნობების წარმოება, პირველადი ან/და მეორეული დნობის ჩათვლით.
6. მეტალურგიული, ქიმიური ან ელექტროქიმიური პროცესების მეშვეობით მადნიდან, კონცენტრატებიდან ან მეორეული ნედლეულიდან ფერადი ლითონების წარმოება, გარდა საიუველირო წარმოებისა.
7. აზბესტის ამოღება, აზბესტისა და აზბესტემცველი პროდუქციის დამუშავება ან/და გარდაქმნა: წელიწადში 20 000 ტონაზე მეტი აზბესტ-ცემენტის პროდუქციის წარმოება;

წელიწადში 50 ტონაზე მეტი ფრიქციული მასალის წარმოება; წელიწადში 200 ტონაზე მეტი აზბესტის სხვაგვარად გამოყენება.

8. ქიმიური მრეწველობა:

8.1. ძირითადი ორგანული ნაერთების წარმოება;

8.2. ძირითადი არაორგანული ნაერთების წარმოება;

8.3. ფოსფოროვანი, აზოტოვანი ან/და კალიუმოვანი სასუქების მარტივი ან/და რთული წარმოება;

8.4. მცენარეთა დაცვის საშუალებების ან/და ბიოციდების წარმოება;

8.5. ქიმიური ან/და ბიოლოგიური პროცესის მეშვეობით ფარმაცევტული საშუალებების წარმოება;

8.6. ასაფეთქებელი მასალის წარმოება.

9. მაგისტრალური მიწისზედა ან/და მიწისქვეშა სარკინიგზო ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

10. აეროპორტის მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომლის ძირითადი ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის სიგრძე 1600 მეტრი ან მეტია.

11. საერთაშორისო ან შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მშენებლობა.

12. საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია ან/და მოდერნიზაცია, რომლის მთლიანი მონაკვეთის სიგრძე 5 კილომეტრი ან მეტია.

13. საერთაშორისო ან შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე განთავსებული გვირაბის ან/და ხიდის მშენებლობა.

14. შიდასამდინარო გზის ან პორტის მშენებლობა, სადაც ხომალდის ტვირთამწეობა 1350 ტონაზე მეტია.

15. საზღვაო პორტის, ხმელეთთან და სხვა პორტთან დაკავშირებული სატვირთო მისადგომის (გარდა საბორნე მისადგომისა) მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელსაც შეუძლია მიიღოს 1350 ტონაზე მეტი წყალწყვის ხომალდი.

16. სახიფათო ნარჩენების განთავსება, ინსინერაცია ან/და ქიმიური დამუშავება.

17. დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენის განთავსება, ინსინერაცია ან/და ქიმიური დამუშავება.

18. მიწისქვეშა წყლის ამოტუმბვის ან მიწისქვეშა წყლის ხელოვნური შევსების სამუშაოების წარმოება, როდესაც ამოსატუმბავი და ჩასატუმბავი წყლის მოცულობა წელიწადში 10 მილიონი მ3 ან მეტია.

19. წყლის მდინარის აუზებს შორის გადაგდება (გარდა სასმელი წყლის მიღებით გადატანისა):

19.1. როდესაც წყლის გადაგდება წყლის ნაკლებობის თავიდან ასაცილებლად ხორციელდება და გადაგდებული წყლის მოცულობა წელიწადში 20 მილიონ მ3-ზე მეტია;

19.2. ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც იმ მდინარის საშუალო მრავალწლიური ჩამონადენი, რომლიდანაც წყალი გადანაწილდება, წელიწადში 2 000 მილიონ მ3-ზე მეტია და გადატანილი წყლის ხარჯი მდინარის მრავალწლიური მინიმალური ხარჯის 5%-ს აღემატება.

20. ურბანული ჩამდინარე წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა 50 000-იანი ან მეტი მოსახლეობისათვის, შესაბამისი წარმადობით.

21. კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელიც წყლის შესაკავებლად ან მუდმივად დასაგროვებლად გამოიყენება და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 50 000 მ3-ზე მეტია.

22. 5 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ან/და ექსპლუატაცია.

23. 800 მილიმეტრი ან მეტი დიამეტრის და 40 კილომეტრზე მეტი სიგრძის მილსადენის მშენებლობა და ექსპლუატაცია ნავთობის, გაზის ან ქიმიური ნაერთების ტრანსპორტირებისათვის, აგრეთვე გეოლოგიური დასაწყობების მიზნით ნახშირბადის დიოქსიდის (CO₂) ტრანსპორტირებისათვის.

24. მეფრინველეობის ფერმა (85 000-ზე მეტი სადგომით წიწილებისათვის ან/და 60 000-ზე მეტი სადგომით ქათმებისათვის) ან/და მეღორეობის ფერმა (10 000-ზე მეტი სადგომით გოჭებისათვის (30 კილოგრამზე ნაკლები) ან/და 6000-ზე მეტი სადგომით ღორებისათვის (30 კილოგრამზე მეტი)).

25. მერქნისგან ან მსგავსი ბოჭკოვანი მასალისგან ცელულოზის წარმოება, დღე-ღამეში 200 ტონაზე მეტი ქაღალდის ან/და მუყაოს წარმოება.

26. წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 25 ჰექტარზე მეტია.

27. ტორფის მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 150 ჰექტარზე მეტია.

28. 220 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, რომლის სიგრძე 15 კილომეტრზე მეტია.

29. 1 000 მ³ ან მეტი ჯამური მოცულობის წიაღისეული საწვავის ან/და ქიმიური პროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია.

30. ნახშირბადის დიოქსიდის (CO₂) გეოლოგიური დასაწყობება.

31. წელიწადში 1.5 მეგატონა ან მეტი ნახშირბადის დიოქსიდის (CO₂) მოპოვება.

დანართი 4. საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის შესახებ - “დანართი II”

II დანართით გათვალისწინებული საქმიანობები

1. სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და აკვაკულტურა:

1.1. 10 ჰექტარი ან მეტი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება;

1.2. 10 ჰექტარი ან მეტი ფართობის ყამირი მიწების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება;

1.3. სამელიორაციო სისტემის მოწყობა და ექსპლუატაცია;

1.4. 500 ჰექტარი ან მეტი ფართობის ტყის გაშენება ან/და 50 ჰექტარი ან მეტი ფართობის ტყის გაჩეხა სხვა კატეგორიის მიწად გარდაქმნისა და გამოყენების მიზნით;

1.5. 500 ან მეტი მსხვილფეხა შინაური პირუტყვისათვის განკუთვნილი სადგომის მშენებლობა;

1.6. წელიწადში 40 ტონაზე მეტი წარმადობის აკვაკულტურის მეურნეობის მოწყობა (წყლის ცხოველური ორგანიზმებისა და მცენარეების მოშენება);

1.7. ზღვის ფართობის ათვისება (ხელოვნური კუნძულის, ნახევარკუნძულის და ა. შ. შექმნა).

საქართველოს 2020 წლის 24 ივნისის კანონი №6416 – ვებგვერდი, 01.07.2020წ.

2. მოპოვებითი მრეწველობა და ბურღვითი სამუშაოები:

2.1. ტორფის ან მყარი სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ქვიშა-ხრეშისა) ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 10 ჰექტარზე მეტია;

2.2. სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მოპოვება (მათ შორის, მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვება), როდესაც მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა წელიწადში 100 000 მ³-ზე მეტია (გარდა ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვებისა ან მიწისქვეშა წყლის პირადი მოხმარების მიზნით გამოყენებისა);

2.3. სასარგებლო წიაღისეულის ზღვიდან მოპოვება;

2.4. ბურღვითი სამუშაოები თერმული (თბოენერგეტიკული დანიშნულების) წყლის მოპოვების მიზნით;

2.5. ბურღვითი სამუშაოები რადიოაქტიური ნარჩენების შენახვის მიზნით;

2.6. ბურღვითი სამუშაოები მიწისზედა საწარმოო ნაგებობის გამოყენებით ნახშირის, მადნის ან ბიტუმოვანი ფიქლის მოპოვების მიზნით.

3. ენერჯის წარმოება:

3.1. წვის დანადგარი 2 მეგავატი ან მეტი სიმძლავრის ელექტროენერჯის წარმოებისათვის;

3.2. საწარმოო დანადგარი ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოებისათვის (გარდა ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან დაკავშირებული ორთქლისა და ცხელი წყლის დანადგარისა), როდესაც განაშენიანების ფართობი 0.5 ჰექტარზე მეტია, ხოლო მათი გამომუშავება 50 მეგავატს აღემატება;

3.3. 5 კილომეტრი ან მეტი სიგრძის მილსადენის განთავსება გაზის, ორთქლისა და ცხელი წყლის გატარებისათვის;

3.4. 35 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა, 110 კილოვოლტი ან მეტი ძაბვის ქვესადგურის განთავსება;

3.5. 100 მმ ან მეტი მოცულობის წიაღისეული საწვავის, თხევადი ან/და ბუნებრივი აირის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია;

3.6. ნახშირის ან/და ლიგნიტის ბრიკეტირება;

3.7. რადიოაქტიური ნარჩენების დამუშავება ან/და შენახვა;

3.8. 2 მეგავატიდან 5 მეგავატამდე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია;

3.9. დანადგარი ქარის ან/და ზღვის ტალღების ენერჯის მეშვეობით ელექტროენერჯის წარმოებისათვის.

4. ლითონების წარმოება და დამუშავება:

4.1. თუჯის ან ფოლადის დნობა პროდუქციის წარმოების მიზნით;

4.2. შავი ლითონის დამუშავება: ლითონის ცხლად დამუშავება, სამჭედლო გრდემლით, დამცავი ლითონის ფენით დაფარვა წელიწადში 50 ტონა ან მეტი წარმადობით;

4.3. ფერადი ლითონის (გარდა ძვირფასი ლითონისა) დნობა წელიწადში 20 ტონა ან მეტი წარმადობით;

4.4. ელექტროლიტური ან ქიმიური პროცესის გამოყენებით 10 მ3 ან მეტი მოცულობის ავზში ლითონის ან/და პლასტიკური მასალის ზედაპირული წმენდა;

4.5. მანქანათმშენებლობა (ძრავიანი სატრანსპორტო საშუალების აწყობა) და სატრანსპორტო საშუალების ძრავის წარმოება;

4.6. გემთმშენებლობა;

4.7. საჰაერო ხომალდის მშენებლობა;

4.8. ლითონის ასაფეთქებელი ნივთიერებებით გამოწნევა;

4.9. ლითონშემცველი მადნის გამოწვა და აგლომერირება.

5. მინერალური ნედლეულის გადამუშავება:

5.1. სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება;

5.2. ქვანახშირის დაკოქსვა;

5.3. ასფალტის წარმოება;

5.4. ცემენტის, კირის, გაჯის ან/და თაბაშირის წარმოება;

5.5. აზბესტის ან/და აზბესტშემცველი პროდუქციის წარმოება;

5.6. მინის ან/და მინის პროდუქციის (მათ შორის, მინის ბოჭკოს) წარმოება;

5.7. კერამიკული თიხის წარმოება (გარდა ტრადიციული წესით საოჯახო მეურნეობაში წარმოებისა), კერამიკული პროდუქციის (კერძოდ, კრამიტის, აგურის, ცეცხლგამძლე აგურის, ფილის ან ფაიფურის) წარმოება.

6. ქიმიური წარმოება:

6.1. შუალედური პროდუქტის ქიმიური დამუშავებით ქიმიური ნივთიერების წარმოება;

6.2. ფარმაცევტული პროდუქტების, საღებავების, ლაქების, პეროქსიდის, ელასტომერის ან/და პლასტიკური მასალის წარმოება;

6.3. ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია.

7. სურსათის წარმოება:

- 7.1. წელიწადში 25 000 ტონა ან მეტი მცენარეული ან/და ცხოველური ცხიმის წარმოება;
- 7.2. ცხოველური ან/და მცენარეული პროდუქტის დაკონსერვება წელიწადში 25 000 ტონა ან მეტი პროდუქციის წარმოების მიზნით;
- 7.3. დღე-ღამეში 20 ტონაზე მეტი რძის პროდუქტის წარმოება;
- 7.4. დღე-ღამეში 100 ტონაზე მეტი ლუდისა და ალკოჰოლის წარმოება;
- 7.5. დღე-ღამეში 3 ტონაზე მეტი საკონდიტრო პროდუქციის წარმოება;
- 7.6. ცხოველთა სასაკლავოს მოწყობა და ექსპლუატაცია, სადაც დღე-ღამეში 30 ან მეტი ცხოველი იკვლება;
- 7.7. წელიწადში 5 000 ტონა ან მეტი სახამებლის სამრეწველო წარმოება;
- 7.8. წელიწადში 5 000 ტონაზე მეტი თევზის გადამუშავება;
- 7.9. დღე-ღამეში 25 ტონა ან მეტი შაქრის წარმოება.
8. ტექსტილის, ტყავის, ქაღალდის წარმოება:
 - 8.1. დღე-ღამეში 10 ტონა ან მეტი ქაღალდის ან/და მუყაოს წარმოება;
 - 8.2. დღე-ღამეში 1 ტონაზე მეტი ტექსტილის ან/და საფეიქრო ბოჭკოს წინასწარი დამუშავება (რეცხვა, გახამება, მერსერიზაცია) ან/და ღებვა;
 - 8.3. ტყავის თრიმლვა/დამუშავება;
 - 8.4. ცელულოზის დამუშავება.
9. ინფრასტრუქტურული პროექტები:
 - 9.1. 10 ჰექტარზე მეტ ფართობზე სამრეწველო საწარმოთა კომპლექსის განთავსება;
 - 9.2. 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი (მათ შორის, სავაჭრო ცენტრისა და 1 000 ავტომობილის ტევადობის ავტოპარკის მოწყობა);
 - 9.3. საკონტინერო ტერმინალისა და მასთან დაკავშირებული სარკინიგზო ხაზის მშენებლობა და ექსპლუატაცია;
 - 9.4. აეროდრომის მშენებლობა;

9.5. საზღვაო ნავსადგურისა და მასთან დაკავშირებული შენობა-ნაგებობის მშენებლობა, რომლის საპროექტო განაშენიანების ფართობი 1 ჰექტარზე მეტია;

9.6. 2 კილომეტრი ან მეტი სიგრძის საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, საკანალიზაციო სისტემის 5 ჰექტარზე ან მეტი განაშენიანების მქონე ფართობზე მოწყობა;

9.7. შიდასამდინარო გზის მოწყობა;

9.8. წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოები;

9.9. კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის/მოწყობილობის მშენებლობა, რომლის მშენებლობა მიზანშეწონილია წყლის შეკავების ან წყლის გრძელვადიანი დაგროვების მიზნით და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 10 000 მ³-ზე მეტია;

9.10. მგზავრების ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ტრამვაის ან/და საბაგირო ხაზის მშენებლობა;

9.11. 5 კილომეტრზე მეტი სიგრძის მილსადენის გაყვანა ნავთობის, გაზის ან ნახშირბადის დიოქსიდის (CO₂) ტრანსპორტირების მიზნით;

9.12. 1 ჰექტარზე ან მეტ ფართობზე 5 კილომეტრი ან მეტი სიგრძის წყალსატარი აკვედუკის განთავსება;

9.13. ნაპირდაცვითი და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებლად ან/და სანაპირო ზოლის აღდგენის მიზნით გათვალისწინებული სამუშაოები, აგრეთვე საზღვაო სამუშაოები, რომლებითაც შეიძლება სანაპიროს შეცვლა მშენებლობის მეშვეობით (კერძოდ, დამბის, ჯებირის, მიწაყრილის განთავსება და ზღვისგან დაცვის სხვა სამუშაოები), გარდა მათი სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა.

10. სხვა პროექტები:

10.1. 15 ჰექტარი ან მეტი ფართობის მქონე ტერიტორიაზე ავტომობილის მუდმივი სარბოლო და საცდელი გზების მოწყობა;

10.2. ნარჩენების განთავსება;

10.3. ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა;

10.4. სახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავება;

10.5. 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა;

10.6. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია;

10.7. შლამსაცავის მოწყობა და ექსპლუატაცია;

10.8. ფეთქებადი ნივთიერებების აღდგენა ან განადგურება.

11. ტურიზმი და დასვენება:

11.1. 5 ჰექტარზე ან მეტ ფართობზე სამთო-სათხილამურო ან/და საბაგრო ტრასის მოწყობა;

11.2. ქალაქგარეთ 10 ჰექტარზე მეტ ფართობზე დასასვენებელი კომპლექსური დასახლების (მათ შორის, სასტუმროსა და მასთან დაკავშირებული ნაგებობის) მშენებლობა;

11.3. 5 ჰექტარზე ან მეტ ფართობზე მუდმივი საბანაკო და საქარავნო ადგილების მოწყობა;

11.4. 10 ჰექტარზე ან მეტ ფართობზე გასართობი პარკის (მათ შორის, ატრაქციონების პარკის) გაშენება.

დანართი 5. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკის სკრინინგის ნიმუშის ფორმა მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების ქვეპროექტებისთვის (ქვეკომპონენტები 1.2 და 1.3)

პროექტის დასახელება:	ადგილმდებარეობა:			
მისამართი:	საკონტაქტო პირი და ტელეფონი:			
დარგი:	საქმიანობა:			სესხის თანხა და ტიპი:
პროექტის ტიპი (მონიშნეთ x):	ახალი x	გაგრძელება	არსებული	E&S კატეგორია: საშუალო
ადგილზე ვიზიტის თარიღი: 15.01.2019	მომზადებულია/ განახლებულია: თანამდებობა:			
პროექტის მოკლე აღწერა:				
სესხის მიზანი: სასტუმროს მშენებლობა, რემონტი და გრძელვადიანი აქტივების შექმნა. სასტუმრო მდებარეობს თბილისში და შედგება 40 ოთახისგან.				
გამონაკლისების ჩამონათვალი შესული საქმიანობები (კ/ა): არა				
სექტორის E&S სპეციფიკური საკითხები (გთხოვთ მიუთითოთ):				
პროექტთან დაკავშირებული პოტენციური რისკები უკავშირდება:				
<ul style="list-style-type: none"> • სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობას და უსაფრთხოებას (მაღალი) • ეკოსისტემის / ადგილის დაბინძურებას (საშუალო) • ჰაერში გამონაბოლქვს (საშუალო) • ნარჩენებს (საშუალო) 				
ინსტრუქციები:				
<ul style="list-style-type: none"> • გთხოვთ, მიუთითოთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია "დამატებითი ინფორმაციის" განყოფილებაში გაცემული პასუხების მხარდასაჭერად; • გთხოვთ, კითხვარის შევსების შემდეგ მიუთითოთ ძირითადი საკითხების რეზიუმე და ჩართეთ კატეგორიების განსაზღვრა პროექტისთვის • თუ საჭიროა, ჩართეთ სამოქმედო გეგმა • ინფორმაციის მისაღებად სექტორის სპეციფიკური გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების შესახებ, გთხოვთ, გაეცნოთ მდგრადობის შესახებ ფაქტობრივი ინფორმაციის დოკუმენტის პირველ გვერდს და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელოს 				

<ul style="list-style-type: none"> ○ http://firstforsustainability.org/risk-management/understanding-environmental-and-social-risk/risk-by-industry-sector/ ○ www.ifc.org/ehsguidelines 					
შეფასება მოქმედი გარემოსდაცვითი და სოციალური მოთხოვნების შესაბამისად					
	კითხვა/ რისკი	კი	არა	ა/შ	დამატებითი ინფორმაცია (გთხოვთ, მოგვაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია ყველა პასუხის გასამყარებლად)
1. ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული რისკები			✓		
1.1	განხორციელდება თუ არა პროექტი/საქმიანობა დაცულ ზონებში ან მათ მახლობლად, ან ზონებში, რომელთათვისაც მთავრობა განიხილავს დაცული ტერიტორიის ოფიციალური სტატუსის მინიჭებას?				
1.2	იქნება თუ არა პროექტი/ბიზნეს ოპერაციები პოტენციური საფრთხე ადგილობრივი, რეგიონული ან ეროვნული კულტურული მემკვიდრეობისთვის? (საჯარო კონსულტაციების დროს, ადგილობრივ მოქალაქეებს უნდა მოეთხოვოს ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვნად მიიჩნევა ოფიციალურ სივრცეში მდებარე ადგილების ან სტრუქტურების შესახებ, რომლებიც დაცული უნდა იყოს).				
1.3	განხორციელდება თუ არა საწარმოს ყველა საქმიანობა ბიზნესის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, ანუ მისი საქმიანობის შედეგი იქონიებს თუ არა რაიმე იძულებით უარყოფით ზეგავლენას მიწაზე, საცხოვრებელზე, აქტივებზე ან საარსებო საშუალებებზე ან ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებზე (ოფიციალური მესაკუთრეები ან არაოფიციალური მოსარგებლეები), ბიზნესის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე და საიტის სკრინინგის შედეგად?				
1.4	არის თუ არა ინფორმაცია საქმიანობის შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი და აქვს თუ არა ადგილობრივ მოქალაქეს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას ან არასამთავრობო ორგანიზაციას გამოხატული წუხილი ან პოზიცია პროექტის/ბიზნეს ოპერაციების წინააღმდეგ, გარემოზე ბიზნეს საქმიანობის ადრინდელი ან შესაძლო სამომავლო ზემოქმედების გამო?				
1.5	არსებობს თუ არა პროექტის/ბიზნეს ოპერაციების რაიმე სხვა ასპექტი, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს საფრთხედ ადგილობრივი საზოგადოებისთვის ჩვეულებრივი საქმიანობის დროს ან განსაკუთრებულ ვითარებაში?				

2. გარემოსდაცვითი მარეგულირებელი შესაბამისობა და პასუხისმგებლობა					
2.1	უკავშირდება თუ არა კლიენტის გარემოსდაცვით და სოციალურ საქმიანობას რაიმე სამართლებრივი პრობლემა?			✓	
2.2	წარმოადგინეთ კომპანიის მფლობელობაში არსებული ყველა საჭირო ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ნებართვა და თანხმობა (გთხოვთ, თან დაურთოთ ასლები)			✓	არ არის საჭირო სპეციალური ნებართვა, სამშენებლო ნებართვის გარდა
2.3	გადაიხადა თუ არა კომპანიამ გადასახდელები ან ჯარიმები /საურავები ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ რეგულაციებთან და სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო ბოლო ორი წლის განმავლობაში? (გთხოვთ დაურთოთ ინსპექტირების უახლესი დასკვნის ასლები)			✓	
2.4	დგას თუ არა კომპანია პოტენციურად მნიშვნელოვანი ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებების წინაშე, როგორცაა მიწის / მიწისქვეშა წყლების დაბინძურებით გამოწვეული პასუხისმგებლობა და რაც უკავშირდება კომპანიის წარსულ ან მიმდინარე საქმიანობას? დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითეთ ვალდებულებების მასშტაბი (სიდიდე)			✓	
2.4	ჰქონდა თუ არა კომპანიაში ადგილი რაიმე მნიშვნელოვან უბედურ შემთხვევას ან ინციდენტს ბოლო ორი წლის განმავლობაში (მაგ. ნავთობის დაღვრა, ხანძარი), რომელმაც გამოიწვია სიკვდილი ან სხეულის მრავალი სერიოზული დაზიანება ან / და გარემოს მნიშვნელოვანი დაზიანება?			✓	
3. მართვის სისტემები					
	შეამოწმეთ მართვის სისტემასთან დაკავშირებული საკითხები და ქვემოთ მოყვანილი რომელიმე პუნქტის არჩევის შემდეგ, მიუთითეთ მაკორექტირებელი მოქმედება ან ახსენით, რატომ არ არის ის საჭირო: <input type="checkbox"/> არ არსებობს წერილობითი გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა <input type="checkbox"/> არ არსებობს ადამიანური რესურსების წერილობითი პოლიტიკა (მაგ., თანამშრომელთა უფლებები / დისკრიმინაციის აკრძალვა) <input type="checkbox"/> არ არსებობს წერილობითი სახანძრო / უსაფრთხოების გეგმა ან საგანგებო სიტუაციების პრევენცია / მზადყოფნა / რეაგირების გეგმა				სამშენებლო სამუშაოებს ასრულებს რამდენიმე კონტრაქტორი - სამშენებლო კომპანია, რომლებიც დაქირავებულია მომხმარებლის მიერ. ამ კომპანიებს არ აქვთ წერილობითი პოლიტიკა, მაგრამ ისინი იცავენ ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამის დებულებებს.

	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> არ ტარდება დასაქმებულთა სწავლება გარემოსდაცვით, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხებში <input type="checkbox"/> არ არსებობს პროცედურები გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მართვისთვის <input type="checkbox"/> არ არის გამოყოფილი თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე <input type="checkbox"/> ინფორმაციის გაზიარების შიდა პროცესი არ არსებობს 				<p>კონტრაქტორები პასუხისმგებელი არიან უსაფრთხოებაზე.</p> <p>სასტუმროს მშენებლობის დასრულების შემდეგ, სასტუმროს ადმინისტრაცია მოამზადებს კანონით აღწერილ ყველა საჭირო დოკუმენტაციას და ზომას, რომლებიც დადგენილია კანონით / შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტით.</p>
4.	გარემოსდაცვითი საკითხები				
4.1	<p>შეამოწმეთ ჰაერში გამონაბოლქვთან დაკავშირებული საკითხები და ქვემოთ მოყვანილი რომელიმე პუნქტის არჩევის შემთხვევაში, მიუთითეთ მაკორექტირებელი მოქმედება ან ახსენით, რატომ არ არის ის საჭირო:</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> არ არსებობს მოქმედი ნებართვა ჰაერში ემისიაზე <input type="checkbox"/> კვამლი/გამონაბოლქვი გაზი გამოიყოფა სათანადო ფილტრის გამოყენების გარეშე <input type="checkbox"/> არ ხდება ჰაერში ემისიის მონიტორინგი 				<p>მშენებლობის შედეგად წარმოქმნილი მტვრის გამოყოფა ისევე როგორც მანქანების გამოყენების შედეგად ჰაერის დაბინძურება წარმოადგენს</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> ჰოტენციურ რისკ ფაქტორებს, <input checked="" type="checkbox"/> რომლებიც იმართება სამშენებლო კომპანიების მიერ
4.2	<p>შეამოწმეთ ჩამდინარე წყლებთან დაკავშირებული საკითხები და ქვემოთ მოყვანილი რომელიმე პუნქტის არჩევის შემთხვევაში, მიუთითეთ მაკორექტირებელი ზომები ან ახსენით, რატომ არ არის ის საჭირო:</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> ჩამდინარე წყლები/სითხეები გამოიყოფა / ჩაედინება წყალში (ნაკადული / წყალსატევში/ ტბაში) ან ხმელეთზე <input type="checkbox"/> მარეგულირებელი ორგანოების მიერ დაწესებულია ჯარიმები ჩამდინარე წყლების ჩაშვებაზე დადგენილი ლიმიტების გადაჭარბების გამო <input type="checkbox"/> არ არის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები ან ისინი არ ასათანადოდ მუშაობენ <input type="checkbox"/> გაჟონვა, თხევადი ნარჩენები ან ჩამდინარე წყლები ხვდება ნაკადულში / მდინარეში / წყალსატევში/ ნიადაგში 				<input checked="" type="checkbox"/>
4.3	<p>შეამოწმეთ ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საკითხები და შერჩევის შემდეგ, მიუთითეთ მაკორექტირებელი მოქმედება ან ახსენით, თუ რატომ არ არის ის საჭირო:</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> საფრთხის შემცველი ნარჩენების შეუსაბამო შენახვა / დამუშავება (მტკიცებულებები: ჯართის დაყრა, თხევადი ნარჩენები, სუნი, ნარჩენების შესანახი ადგილები და ა.შ.) 			<input checked="" type="checkbox"/>	<p>ნარჩენების მართვა ხორციელდება სამშენებლო ნარჩენებთან დაკავშირებული ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად.</p>

	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> სახიფათო, ტოქსიკური და სხვა ნარჩენების გადატანის / განკარგვის ხელშეკრულებები (ნაგავსაყრელი, კერძო შემგროვებელი, მუნიციპალიტეტი) <input type="checkbox"/> ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებელი არ ავინაა <input type="checkbox"/> არ არსებობს მიწის დაბინძურების მტკიცებულება და არ არსებობს ნარჩენების დამუშავების მექანიზმი 				
5.	უსაფრთხოების საკითხები				
	<p>შეამოწმეთ, ადეკვატური ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის არსებობა (არსებობს თუ არა ხანძარმაქრები, ჰიდრანტები შლანგებით, ნიშნები სახანძრო მოწყობილობებისა და უსაფრთხოების პრაქტიკისთვის, კვამლის / სითბოს სენსორები, ამ სენსორებთან დაკავშირებული განგაშის სისტემა, სახანძრო გასასვლელები კარგად მონიშნული და მოსახერხებელია?). თუ არ არსებობს, მიუთითეთ მაკორექტირებელი მოქმედება.</p>				<p>სამუშაოებს ასრულებს რამდენიმე კონტრაქტორი კომპანია, რომლებსაც აქვთ პასუხისმგებლობა შექმნას უსაფრთხო სამუშაო გარემო თავისი მუშებისთვის. ისინი პასუხისმგებელი არიან განსაკუთრებული სიფრთხილისა და აღჭურვილობისთვის. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ სასტუმროს ადმინისტრაცია პასუხისმგებელი იქნება სასტუმროს უსაფრთხოებაზე.</p>
6.	შრომის საკითხები				
	<p>აქვს თუ არა კომპანიას ადამიანური რესურსების პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც შეესაბამება შრომის ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს? გთხოვთ, ხაზგასმით აღნიშნოთ ძირითადი პოლიტიკა.</p>				<p>არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა / პროცედურები. საქმიანობა ხორციელდება ადგილობრივი სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად.</p>
	<p>შეამოწმეთ შრომის საკითხები და ქვემოთ მოყვანილი რომელიმე პუნქტის არჩევის შემდეგ, მიუთითეთ მაკორექტირებელი მოქმედება ან ახსენით, თუ რატომ არ არის ის საჭირო:</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> არ არის უზრუნველყოფილი პირადი დამცავი აღჭურვილობა (მაგალითად, უსაფრთხოების სათვალე / მყარი ქუდი / დამცავი ხელთათმანი) <input type="checkbox"/> დასაქმებულთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის ზომები არაადეკვატური (მაგ., ვარდნის პრევენცია / ვენტილაცია) <input type="checkbox"/> არაადეკვატური სამუშაო პირობები (მაგ., ჰაერის ხარისხი / განათება / შეზღუდული სივრცე / ჰიგიენა ადგილზე) 		<p>✓ ✓ ✓ ✓ ✓ ✓ ✓</p>		<p>როგორც აღვნიშნეთ, სამუშაოებს ასრულებს რამდენიმე კონტრაქტორი კომპანია, რომლებსაც აქვთ პასუხისმგებლობა შექმნას უსაფრთხო სამუშაო გარემო თავიანთი მუშებისთვის. ისინი პასუხისმგებელი არიან სიფრთხილის განსაკუთრებულ ზომებზე და ტექნიკაზე. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ სასტუმროს ადმინისტრაცია პასუხისმგებელი იქნება სასტუმროს უსაფრთხოებაზე.</p>

	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> დასაქმების არაადეკვატური პირობები (მაგალითად, სამუშაო საათები / შესვენებები / დასვენების დრო / ზეგანაკვეთური ანაზღაურება) <input type="checkbox"/> დასაქმების არათანაბარი შესაძლებლობები (მაგალითად, სქესის / ეთნიკური ჯგუფის / ასაკის მიხედვით; დისკრიმინაცია) <input type="checkbox"/> მინიმალურ ხელფასზე დაბალი ანაზღაურება <input type="checkbox"/> დასაქმება მინიმალურ ასაკზე ქვევით <input type="checkbox"/> ბავშვთა ან იძულებითი შრომა <input type="checkbox"/> თანამშრომლებისთვის გასაჩივრების პროცესის არქონა <input type="checkbox"/> დასაქმებულთა ორგანიზაციების / შრომითი გაერთიანებების უღიარებლობა 				
--	---	--	--	--	--

7. სოციალური საკითხები

	<ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> საჭიროა მიწის შექმნა <input type="checkbox"/> ადგილობრივი თემების გადაადგილება / განსახლება <input type="checkbox"/> ზემოქმედება ადგილობრივ დასახლებებზე / საარსებო საშუალებებზე <input type="checkbox"/> ზემოქმედება აბორიგენ მოსახლეობაზე <input type="checkbox"/> საჩივრები მეზობლების / თემის მხრიდან <input type="checkbox"/> კულტურული / არქეოლოგიური მნიშვნელობის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე 			<ul style="list-style-type: none"> ✓ ✓ ✓ ✓ ✓ 	
--	---	--	--	---	--

გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების რეზიუმე (გთხოვთ წარმოადგინოთ კლიენტის საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის რეზიუმე)

დამკვეთის მიერ დაქირავებული კონტრაქტორი კომპანიები პასუხისმგებელი არიან განსაკუთრებული სიფრთხილის ზომების განხორციელებაზე და აღჭურვილობაზე, უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფაზე. საერთო გარემოსდაცვითი და სოციალური რისკი სამუშაო სამშენებლო სპეციფიკის გამო, მაგრამ კომპლექსური გადასაჭრელი საკითხები არ არის.

სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ სასტუმროს ადმინისტრაცია იქნება პასუხისმგებელი სასტუმროს გარემოსდაცვით და სოციალური საკითხებზე. სახანძრო დაცვის სისტემა მოეწყობა ადგილობრივი მოთხოვნების შესაბამისად. მონიტორინგის დროს უნდა შემოწმდეს მიღწეული პროგრესი.

გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სამოქმედო გეგმა

იდენტიფიცირებული პრობლემა	საჭირო მოქმედება	დასრულების თარიღი
მაგ. საფრთხის შემცველი ნარჩენების მართვის ხელშეკრულებები არ არის	დანაშინებ ნარჩენების მართვის აკრედიტირებული კომპანია წარმოების ადგილზე	სესხის გაცემამდე

	წარმოქმნილი საფრთხის შემცველი ნარჩენებს მართვის მიზნით		

პროგრესის, ისევე როგორც ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვასთან დაკავშირებული საკითხების მონიტორინგი უნდა მოხდეს ადგილზე ვიზიტის დროს.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სტანდარტული პუნქტები - სახელმძღვანელო, რომელიც უნდა შევიდეს მონაწილე ფინანსურ ინსტიტუტებსა და ქვემსესხებლებს შორის გაფორმებულ საკრედიტო ხელშეკრულებაში (განსაკუთრებით იმ მონაწილე ფინანსური ინსტიტუტებისთვის, რომლებიც შეიმუშავენ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ახალ სისტემას). იხილეთ ქვემოთ მოცემული სახელმძღვანელო, რომლის შეცვლა შესაძლებელია თითოეული მონაწილე ფინანსური ინსტიტუტის მიერ ამ მიმართულებების მიხედვით:

თითოეული ქვემსესხებელი ვალდებულია:

- (i) დაიცვას საქართველოს ყველა გარემოსდაცვითი და სოციალური კანონი.
- (ii) მიიღოს ყველა საჭირო გარემოსდაცვითი და სოციალური ნებართვა, შეინარჩუნოს ისინი და უზრუნველყოს მათი მოთხოვნების შესრულება.
- (iii) განახორციელოს პროცედურები ნებისმიერ გარემოსდაცვით კანონის შესრულების მონიტორინგისთვის და შეუსრულებლობით განპირობებული პასუხისმგებლობის პრევენციისთვის.

დანართი 6. ქცევის კოდექსის ძირითადი ელემენტები

ქცევის დამაკმაყოფილებელი კოდექსი შეიცავს მოვალეობებს კონტრაქტორის მთელი პერსონალისთვის (ქვე-კონტრაქტორებისა და დღიური მუშების ჩათვლით), რომლებიც, სულ მცირე, შესაფერისია შემდეგი საკითხების გადასაჭრელად. შესაძლებელია მოვალეობების დამატება რეგიონის, ადგილმდებარეობის და პროექტის დარგის კონკრეტულ პრობლემებზე რეაგირებისთვის ან კონკრეტული პროექტის მოთხოვნების შესაბამისად. ქცევის კოდექსი უნდა შეიცავდეს განცხადებას, რომ ტერმინი "ბავშვი" / "ბავშვები" ნიშნავს 18 წლამდე ასაკის ნებისმიერ პირს.

მოსაგვარებელი საკითხები შეიძლება იყოს შემდეგი:

1. მოქმედი კანონების, წესებისა და რეგულაციების დაცვა;
2. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მოქმედი მოთხოვნების შესრულება ადგილობრივი საზოგადოების (მოწყვლადი და დაუცველი ჯგუფების ჩათვლით), დამსაქმებლის და კონტრაქტორის პერსონალის დასაცავად (დადგენილი პირადი დამცავი აღჭურვილობის ტარება, ავარიების თავიდან აცილება და ინფორმირების ვალდებულება ისეთი პირობების ან პრაქტიკის შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის ადამიანების ან გარემოს უსაფრთხოებას);
3. უკანონო ნივთიერებების გამოყენება;
4. დისკრიმინაციის აკრძალვა ადგილობრივ თემთან (მოწყვლადი და დაუცველი ჯგუფების ჩათვლით), დამსაქმებლის და კონტრაქტორის პერსონალთან ურთიერთობისას (მაგალითად, ოჯახის სტატუსის, ეთნიკური ნიშნის, რასის, სქესის, რელიგიის, ენის, ოჯახური მდგომარეობის, ასაკის, შეზღუდული უნარების (ფიზიკური და გონებრივი), სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობა, პოლიტიკური მრწამსის ან სოციალური, სამოქალაქო ან ჯანმრთელობის მდგომარეობის საფუძველზე);
5. ურთიერთობა ადგილობრივ თემთან, ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლებთან და დაზარალებულ ნებისმიერ პირთან (მაგალითად, პატივისცემის გამოსახატავად, მათ კულტურასა და ტრადიციებთან დაკავშირებით)
6. სექსუალური შევიწროვება (მაგალითად, შეუფერებელი, შეურაცხმყოფელი, სექსუალურად მაპროვოცირებელი, შემავიწროვებელი, დამამცირებელი ან კულტურულად შეუსაბამო ენის ან ქცევის გამოყენების აკრძალვა განსაკუთრებით ქალებისა და / ან ბავშვების მიმართ);
7. ძალადობა, სექსუალური ან / და გენდერული ნიშნით ძალადობის ჩათვლით (მაგალითად, ისეთი ქმედებები, რომლებიც ფიზიკურ, ფსიქიკურ ან სექსუალურ ზიანს ან ტანჯვას აყენებს ადამიანს, ან ამგვარი ქმედებებით მუქარა, იძულება და თავისუფლების აღკვეთა).
8. ექსპლუატაცია, სექსუალური ექსპლუატაციისა და ძალადობის ჩათვლით (მაგალითად, ფულის, დასაქმების, საქონლის ან მომსახურების შეთავაზების აკრძალვა სექსუალური ურთიერთობის სანაცვლოდ, მათ შორის, სექსუალური კეთილგანწყობის ან სხვა სახის დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი ქცევის, ექსპლუატაციური მოპყრობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვა) ;

9. ბავშვების დაცვა (მათ შორის, სექსუალური მოქმედების ან ძალადობის ან სხვაგვარად მიუღებელი ქცევის აკრძალვა ბავშვების მიმართ, ბავშვებთან ურთიერთობის შეზღუდვა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა პროექტის განხორციელების ფონებში)
10. სანიტარული მოთხოვნები (მაგალითად, დამსაქმებლის მიერ მუშებისთვის სანიტარული დანიშნულების წერტილების უზრუნველყოფა ღია სივრცის ნაცვლად);
11. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება (იმგვარად, რომ სარგებელი, კონტრაქტი ან სამსახური, ან რაიმე სახის შეღავათიანი მოპყრობა ან უპირატესობა არ მიეცეს ნებისმიერ პირს, რომელთანაც არსებობს ფინანსური, ოჯახური ან პირადი კავშირი);
12. მიზანშეწონილი სამუშაო ინსტრუქციის დაცვა (მათ შორის, გარემოსდაცვითი და სოციალური ნორმების ჩათვლით);
13. ქონების დაცვა და სათანადო გამოყენება (მაგალითად, ქურდობის, დაუდევრობის ან ნარჩენების აკრძალვა);
14. ამ კოდექსის დარღვევების შესახებ შეტყობინების ვალდებულება;
15. სამაგიეროს გადახდის გამორიცხვა იმ მუშების მიმართ, რომლებიც ინფორმაციას წარადგენენ კოდექსის დარღვევის შესახებ, თუ ეს ინფორმირება კეთილსინდისიერად ხორციელდება.

ქცევის კოდექსი დაწერილი უნდა იყოს მარტივი ენით და ხელმოწერილი თითოეული მუშაკის მიერ, რაც მიუთითებს რომ მათ:

- მიიღეს კოდექსის ასლი;
- განუმარტეს კოდექსი;
- აღიარეს ქცევის კოდექსის დაცვის ვალდებულება როგორც დასაქმების პირობა;
- და, იციან რომ კოდექსის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული შედეგები, თანამდებობიდან გათავისუფლების ჩათვლით, ან საქმის გადაცემა სამართალდამცავი ორგანოებისათვის.

კოდის ასლი უნდა განთავსდეს ისეთ ადგილზე, რომელიც საზოგადოებისთვის და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოხვედრილი ადამიანებისთვის ადვილად ხელმისაწვდომია. ის შედგენილი უნდა იყოს ადგილობრივი საზოგადოების, კონტრაქტორის და დამსაქმებლის პერსონალის და დაზარალებული პირებისთვის გასაგებ ენებზე..

დანართი 7. ზოგადი ტექნიკური დავალება სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პროექტზე მომუშავე გარემოს დაცვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების სპეციალისტისა და სოციალური სპეციალისტისთვის

ქვევით წარმოდგენილი ზოგადი ტექნიკური დავალება / სამუშაოს აღწერილობა სააგენტოში „აწარმოე საქართველოში“ პროექტის გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სპეციალისტისა და სოციალური სპეციალისტისთვის განსაზღვრავს ძირითად გამოცდილებას, როლებს და პასუხისმგებლობებს, რომლებიც უნდა ჰქონდეთ აღნიშნულ სპეციალისტებს პროექტის განმახორციელებელ გუნდში. ეს ფუნქციები შეიძლება გადაეცეს პროექტის მიზნებისთვის შერჩეულ პერსონალს ან კონსულტანტებს. ამ ფუნქციების ნაწილი შეიძლება გადაეცეს სააგენტოს არსებულ პერსონალს, იმ პირობით, რომ მათ აქვთ შესაბამისი სამუშაო გამოცდილება, კვალიფიკაცია და დრო ჩამოთვლილი ფუნქციების შესასრულებლად.

პროექტის გარემოს დაცვის და სოციალური სპეციალისტების სამუშაოს დეტალები აღწერილი იქნება პროექტის საოპერაციო სახელმძღვანელოში და დამტკიცდება მსოფლიო ბანკის მიერ პროექტის დაწყებამდე.

გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სპეციალისტი - ტექნიკური დავალება

სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს შეუძლიათ განაცხადის წარდგენა გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სპეციალისტის პოსტის დასაკავებლად მმსს-ის დახმარებისა და კრიზისიდან გამოყვანის პროექტში, სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პროექტის განმახორციელებელ გუნდში.

შესასრულებელი სამუშაო:

- გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სკრინინგის ფორმების და პროცედურების ადაპტირება, შემუშავება და გაუმჯობესება პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოში და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სისტემაში აღწერილი პრინციპების შესაბამისად.
- უზრუნველყოფა, რომ სააგენტომ ‘აწარმოე საქართველოში’ და კონტრაქტორმა ორგანიზაციებმა იცოდნენ სკრინინგის პროცედურები და იყენებდნენ მათ და იცავდნენ მონიტორინგისა და ანგარიშგების სახელმძღვანელო მითითებებს, პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სისტემის შესაბამისად, მიკროგრანტების ბენეფიციარების შეფასებისა და შერჩევის პროცესში და მიკროგრანტებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისას.
- კონკრეტული სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს საკითხების შესახებ, რომლებიც შეიძლება მიეწოდოთ კრედიტორებს აღნიშნული საკითხების განსახილველად საკრედიტო ანალიზის პროცესში, თითოეული შესაბამისი სექტორის ძირითადი პროცედურების ჩათვლით, რამდენადაც ისინი პორტფელის ნაწილი ხდება.

- პირდაპირი დახმარების გაწევა კონტრაქტორი ორგანიზაციებისთვის, მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, საჭიროების შემთხვევაში, პოტენციური გრანტებისა და სესხების შეფასების პროცესში, სკრინინგის, აუდიტის, ადგილზე ვიზიტის და კომპლექსური შემოწმების საშუალებით.
- კომპლექსური ან მგრძობიარე მმსს საქმიანობის იდენტიფიცირება, რომელიც საჭიროებს დამატებით კვლევებს, ახალ ნებართვას, შემდგომ კომპლექსურ შემოწმებას, ან გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების შეფასების სხვა სამუშაოებს, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოში აღწერილი მსოფლიო ბანკის პოლიტიკის შესაბამისად.
- კონტრაქტის და გარანტიის ხელშეკრულების გადახედვა, გარემოსდაცვით, სოციალურ, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სტანდარტებთან შესაბამისობის და ანგარიშგების მოთხოვნების ადეკვატურობის, მიზანშეწონილობის და შესაფერისობის უზრუნველსაყოფად.
- თანამშრომლობა მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებთან, მათი გარემოს მართვის სისტემები შეფასების და გაუმჯობესების მიზნით და მათ დასახმარებლად გარემოსდაცვითი საქმიანობის ასპექტებზე ყოველწლიური ანგარიშის განხილვაში და მომზადებაში.
- მონაწილე კონტრაქტორი ორგანიზაციების, მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების, მმსს-ების და სხვათათვის საზოგადოებასთან ურთიერთობის ღონისძიებების ან სწავლების საჭიროების იდენტიფიცირება და ჩატარება.
- კონტრაქტორი ორგანიზაციებისა და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების მიერ მოწოდებული გარემოსდაცვითი და სოციალური ანგარიშების განხილვა, და ანგარიშგების უზრუნველყოფა პროექტის საქმიანობის და გარემოსდაცვითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პრობლემების შესახებ მათი წარმოქმნისთანავე, და ასახვა პროექტის რეგულარულ ანგარიშებში შესაბამისობის დოკუმენტური დადასტურებისთვის, და პერიოდული ანგარიშგების ხელშეწყობა მსოფლიო ბანკის წინაშე;
- გარემოსდაცვით, სოციალურ, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სტანდარტებთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენისას, ქვემსესხებლების (ბენეფიციარი მმსს), კონტრაქტორი ორგანიზაციების ან მონაწილე საფინანსო ინსტიტუტების ხელშეწყობა გამოსასწორებელი ღონისძიებების შემუშავებასა და მათი განხორციელების მონიტორინგში.
- საკონტაქტო პირის როლის შესრულება ნებისმიერი საჩივრის მისაღებად, რომელიც ეხება პროექტის გარემოსდაცვით, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ასპექტებს; საჩივრებთან დაკავშირებული მოკვლევის ხელმძღვანელობა და /ან მასში მონაწილეობა საჭიროებიდან გამომდინარე.
- აუდიტის პროტოკოლის შემუშავება და განხორციელება გარემოსდაცვითი პრაქტიკის შესაფასებლად და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- სოციალური და გარემოსდაცვითი სწავლების მასალების შემუშავება იმ თემების შესახებ, რომელთა წინაშეც კონტრაქტორი ორგანიზაციები და მონაწილე საფინანსო

ინსტიტუტს სავარაუდოდ დადგებიან მმსს-ებთან მუშაობის დროს. ეს მასალები მოიცავს სასწავლო მოდულის პრეზენტაციას, ასევე მასალას და სხვა ლიტერატურას, რომლებიც საჭიროა კრედიტორებისთვის გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესასრულებლად. სწავლება ასევე უნდა შეიცავდეს მოდულს კრედიტორებისთვის მმსს-ების შესაძლებლობის შესაფასებლად მართონ საქმიანობასთან დაკავშირებული ეკოლოგიური და სოციალური რისკები.

- სოციალური და გარემოსდაცვითი სწავლების პროგრამის წარდგენა კრედიტორებისთვის ორგანიზებულ ყველა სასწავლო სესიაზე. ეს მოიცავს პირად პრეზენტაციას, ვებინარის ან სხვა ელექტრონული საშუალებების საშუალებით, და პრეზენტაციის ჩაწერას ვებპორტალზე ასატვირთად. ამ სწავლების განუყოფელი ნაწილია კრედიტორების კითხვებზე პასუხის გაცემა.
- კრედიტორების კითხვებზე პასუხის გაცემა საქმესთან დაკავშირებულ კონკრეტულ გარემოებებთან მიმართებით, რომელსაც ამჟამად ამუშავებს კრედიტორი. პასუხებში წარმოდგენილი იქნება მითითებები მმსს-ს მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესასრულებლად, თუ საქმე შესაბამისობას არ ეხება.
- სააგენტოს („აწარმოე საქართველოში“) პროექტის მენეჯერისთვის კვარტალური ანგარიშის მიწოდება ჩატარებული სწავლების და მიღებული შეკითხვების რაოდენობის და ტიპების შესახებ, ასევე ნებისმიერი საკითხის თაობაზე, რომელიც ერთზე მეტ კრედიტორს ეხება.
- გარემოსდაცვით, სოციალურ, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებზე ყველა განაცხადის გადახედვა და შესაბამის კონტრაქტორ ორგანიზაციებთან ან მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებთან ერთად რეაგირება პრობლემების არსებობის შემთხვევაში.
- გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მოთხოვნების უზრუნველყოფა კვარტალურ და/ ან წლიურ ანგარიშებში აუცილებლობიდან გამომდინარე;
- კონკრეტული მითითებების შემუშავება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის სისტემის საკითხებისთვის, რომლებიც შეიძლება მიეწოდოს კრედიტორებს სახელმძღვანელოდ აღნიშნული საკითხების განხილვისას საკრედიტო ანალიზის პროცესში.

კვალიფიკაცია:

- დიპლომი გარემოსდაცვით მეცნიერებაში ან დაკავშირებულ სფეროში;
- მინიმუმ 5 წლის სამუშაო გამოცდილება გარემოს დაცვის სფეროში, იდეალურ შემთხვევაში პოზიციაზე, რომელიც ასევე გულისხმობდა ურთიერთობას საფინანსო სერვისებთან;
- ინფორმირებულობა საბანკო და საკრედიტო საქმიანობის შესახებ;
- ინფორმირებულობა მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი, სოციალური, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ (არ არის საჭირო მათთან დაკავშირებით ადრე მუშაობის გამოცდილება);

- ინფორმირებულობა საქართველოში მოქმედი გარემოსდაცვითი რეგულაციების შესახებ;
- გამოცდილება პროექტების შეფასებაში გარემოსდაცვითი მოთხოვნების შესრულების თვალსაზრისით, საერთაშორისო დაფინანსების მქონე პროექტებთან დაკავშირებულ გამოცდილებას უპირატესობა მიენიჭება;
- ეფექტური ტაქტიკური და სტრატეგიული აზროვნების უნარი;
- გამორჩეული წერითი, საკომუნიკაციო და პრეზენტაციის უნარები;
- ქართული და ინგლისური ენების (ზეპირი მეტყველების, წერის უნარი) ცოდნა მაღალ დონეზე.

სოციალური სპეციალისტი - ტექნიკური დავალება

სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს შეუძლიათ განაცხადის წარდგენა გარემოს დაცვის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სპეციალისტის პოსტის დასაკავებლად მმსს-ის დახმარებისა და კრიზისიდან გამოყვანის პროექტში, სააგენტოს (“აწარმოე საქართველოში”) პროექტის განმახორციელებელ გუნდში.

შესასრულებელი სამუშაოს მასშტაბი:

სოციალური სპეციალისტი ძირითადად პასუხისმგებელია პროცედურების და ხელმძღვანელობის გეგმების კოორდინაციასა და განხორციელების მართვაზე, რომლებიც ეხება შრომას და სამუშაო პირობებს, დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოების ჩართულობას, საჩივრების მექანიზმს, საზოგადოების ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებას, გენდერულ საკითხებს, სოციალურ ჩართულობას, სექსუალურ ექსპლუატაციას და ძალადობას და სექსუალურ შევიწროებას და ნებისმიერ სხვა სოციალურ რისკს და ზემოქმედებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას პროექტის განხორციელების დროს.

კერძოდ, სპეციალისტი უზრუნველყოფს, რომ პროექტი განხორციელდეს მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების და გარემოსდაცვითი და სოციალური ინსტრუმენტების (დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩო, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს შრომის მართვის პროცედურების ჩათვლით), ქვე-პროექტის სპეციფიკური გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების და გარემოსდაცვითი და სოციალური ვალდებულებების გეგმის შესაბამისად. კერძოდ, სპეციალისტი პასუხისმგებელია:

- გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სპეციალისტთან ერთად სწავლების და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების შემუშავება და ჩატარება კონტრაქტორი ორგანიზაციებისა და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტის პერსონალისთვის, პოტენციური ბენეფიციარებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, საჭიროებიდან გამომდინარე, პროექტის მიერ დაფინანსებული ღონისძიებების სოციალური სკრინინგის განხორციელების შესახებ, იმისათვის რომ: (i) გაიცხრილოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს პროექტის მხარდაჭერის მისაღებად, (ii) შეფასდეს შემოთავაზებულ საქმიანობასთან

დაკავშირებული სოციალური რისკები, მაგალითად, იმის დასადგენად რომ პროექტის ფარგლებში დაფინანსებისთვის არ განიხილება რაიმე საქმიანობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს იძულებითი განსახლება; და (iii) განისაზღვროს, თუ ქვეპროექტზე რა სპეციფიკური გარემოსდაცვითი და სოციალური ინსტრუმენტია შესამუშავებელი მოცემული საქმიანობისთვის;

- ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის შემუშავება და განხილვა საჭიროებისამებრ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს შესაბამისად; ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმის გამოქვეყნების უზრუნველყოფა ქართულ და ინგლისურ ენებზე და მათთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი და ინკლუზიური კონსულტაციის წარმოება და საჩივრის ფორმატირება საქართველოში დაწესებული საკარანტინო შეზღუდვებით დროის ნებისმიერ მოცემულ მომენტში;
- პროექტისთვის დეტალური შრომის მართვის პროტოკოლების შემუშავება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების სტანდარტი 2-ის მოქმედი მოთხოვნების გათვალისწინებით (შრომისა და სამუშაო პირობები) და სწავლება კონტრაქტორი ორგანიზაციებისათვის, მონაწილე საფინანსო ინსტიტუტის პერსონალისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, ამ პროცედურების შესაბამისად;
- მონიტორინგის ჩატარება იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროექტი და პროექტის ფარგლებში დაქირავებული კონტრაქტორ(ებ)ი შესაბამისობაში იყვნენ შრომის მართვის პროცედურებთან, დასაქმების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ეროვნულ კანონმდებლობასთან და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოში და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის გეგმაში შეტანილ შესაბამის შემარბილებელ ღონისძიებებთან, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებების ჩათვლით;
- პროექტის დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმასთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების კოორდინაცია და მართვა, სააგენტოს (აწარმოე საწარმელოში), სეზონის და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შესაბამის თანამშრომლებთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებთან ერთად; ეს სხვა საკითხებთან ერთად მოიცავს პროექტის საინფორმაციო მასალების შემუშავებას და / ან განხილვას, სოციალური მედიის კონტენტს, კონტრაქტორი ორგანიზაციების სწავლებას, მონაწილე საფინანსო ინსტიტუტის საინფორმაციო სამსახურის თანამშრომლებს და ა.შ.
- პროექტის საჩივრების მექანიზმის ყველა ასპექტის მართვა, საჩივრებზე პასუხისმგებელი საკონტაქტო პირის სწავლების ჩათვლით, მონაწილე საფინანსო ინსტიტუტის საგარეო ურთიერთობის მექანიზმების ფუნქციონირების მიმოხილვა და მონიტორინგი, კონსოლიდირებული პროექტის საჩივრების ყურნალის წარმოება, საჩივრების გადაწყვეტაზე შემდგომი რეაგირება, რეგულარული ანგარიშების მომზადება სტატუსის და საჩივრების მექანიზმის ფუნქციონირების შესახებ.
- სოციალური აუდიტის ანგარიშების მომზადება დასრულებული ღონისძიებებისთვის, რომელთა ანაზღაურებაც პროექტიდან უნდა მოხდეს რეტროაქტიური ფინანსური შეთანხმებების საფუძველზე;

- გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების სპეციალისტთან ერთად ინფორმაციის მიწოდება პროექტის კვარტალური ანგარიშების მოსამზადებლად პროექტის საქმიანობის გარემოსდაცვითი და სოციალური ასპექტების შესრულების შესახებ; პროექტის სოციალური მუშაობის შეფასება, არასწორი ღონისძიებების გამოვლენისა და მაკორექტირებელი ზომების განსაზღვრის დოკუმენტური ასახვა, მაკორექტირებელი ღონისძიების სტატუსის აღწერა, რომელიც გამოიყენება უკვე აღწერილი შეუსაბამობის მიმართ და ფოტო-დოკუმენტაციის უზრუნველყოფა პროექტის ლოკაციებიდან;
- დაუყოვნებელი კომუნიკაცია პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ მენეჯერთან ინციდენტის ან უბედური შემთხვევის დროს, რაც გავლენას ახდენს ან სავარაუდოდ იქონიებს უარყოფით გავლენას თემზე, საზოგადოებაზე ან მუშებზე და ხელი შეუწყოს ასეთი შემთხვევების შესახებ დროულ ანგარიშგებას მსოფლიო ბანკის წინაშე, მსოფლიო ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპების სახელმძღვანელო დოკუმენტის სტანდარტების, ასევე გარემოს დაცვისა და სოციალური ვალდებულებების გეგმის და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების მართვის ჩარჩოს შესაბამისად;
- თანამშრომლობა მსოფლიო ბანკის რეგულარული განხორციელების მხარდამჭერ მისიებთან და წვლილის შეტანა ამ მისიების მუშაობაში, მოთხოვნის შესაბამისად; და
- პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც მოითხოვს სოციალური სტანდარტების სპეციალისტის პროფესიულ ჩართვას.

კვალიფიკაცია:

სპეციალისტს უნდა ჰქონდეს შემდეგი გამოცდილება და კვალიფიკაცია:

- უნივერსიტეტის დიპლომი სოციოლოგიაში, საერთაშორისო ურთიერთობებში, ფსიქოლოგიაში, სამართალში ან სხვა შესაბამის სოციალურ მეცნიერებებში;
- მინიმუმ 3-5 წლიანი შესაბამისი გამოცდილება განვითარების პროექტების სოციალური ასპექტების შეფასების, მართვის ან ზედამხედველობის კუთხით და ასევე ზემოქმედების შეფასებაში;
- ქართული და ინგლისური ენების (ზეპირი მეტყველების, წერის უნარი) ცოდნა მაღალ დონეზე.
- უპირატესობად ჩაითვლება კანდიდატის სოციალურ სპეციალისტად მუშაობის გამოცდილება მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებში და მის მიერ მსოფლიო ბანკის ან სხვა დონორის მრავალმხრივი განვითარების უსაფრთხოების უზრუნველყოფის პოლიტიკის და მოთხოვნების ცოდნა.

დანართი 8. საჩივრების მიღებისა და ამართვის მექანიზმის ზოგადი მაგალითი

[კომპანიის სახელი]

საჩივრების პოლიტიკა და პროცედურები თანამშრომლებისთვის

პოლიტიკისა და პროცედურების ეფექტური განხორციელება ძალზე მნიშვნელოვანია კომპანიის კორპორაციული კულტურისთვის. ამიტომ კრიტიკულია საჩივრების მექანიზმის გამოყენება, როდესაც თანამშრომლები ხედავენ უსამართლობას და პოლიტიკის დარღვევას.

ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ სამუშაო გარემო, რომელშიც ყველა თანამშრომელი თავს [კომპანიის] მნიშვნელოვნად გრძნობს და ხედავს საკუთარი თავის მიმართ სამართლიან მოპყრობას და სადაც წარმოქმნილი პრობლემების განხილვა და მოგვარება შესაძლებელია ადრეულ ეტაპზე ღია და გულახდილი კომუნიკაციის საშუალებით. შეიძლება ზოგჯერ თანამშრომელს ჰქონდეს დავა ხელმძღვანელთან ან კომპანიასთან, რაც საუკეთესოდ შეიძლება გადაწყდეს დავის გადაწყვეტის ოფიციალური პროცედურის საშუალებით. ყველა დავა ნებისმიერ თანამშრომელსა და კომპანიას შორის უნდა გადაწყდეს შემდეგი პროცედურის შესაბამისად. კომპანია უფლებას იტოვებს შეცვალოს ეს პროცედურა ნებისმიერ დროს და ამ პროცედურის შინაარსი არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს ის წარმოადგენს ხელშეკრულებას დასაქმებულსა და კომპანიას შორის ან დასაქმებულსა და კომპანიას შორის არსებული ხელშეკრულების რომელიმე ნაწილს. ეს პოლიტიკა თანამშრომლებს საშუალებას აძლევს წამოჭრან ნებისმიერი შეშფოთება, პრობლემა ან საჩივარი, რომ საკითხები გადაწყდეს სწრაფად, სამართლიანად და ყველა მონაწილე პირის ინტერესებში. კომპანიამ უნდა უზრუნველყოს თანამშრომლების ხმის მოსმენა. [კომპანიის] მიზანია საჩივრების პროცედურის შექმნა და მის მიმართ თანამშრომლების ნდობის მოპოვება.

პოლიტიკის გამოყენების სფერო

პრობლემები, რომლებმაც შეიძლება საჩივრები გამოიწვიოს შემდეგია (მაგრამ არ მხოლოდ ამით შემოიფარგლება): დასაქმების, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პირობები, სამუშაო ურთიერთობები, „ბულინგი“ და შევიწროვება, ახალი სამუშაო პრაქტიკა, სამუშაო გარემო, ორგანიზაციული ცვლილებები და დისკრიმინაცია. [კომპანია] იყენებს კორპორაციული ინფორმირების პოლიტიკასა და პროცედურებს, იმისათვის რომ თანამშრომლებმა შეძლონ უკანონო ქმედებების, დანაშაულის ან არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ დასაქმებულს უშუალოდ ეხება მოცემული საკითხი, ან თუ ის თავს გრძნობს ინფორმაციის მიწოდების მსხვერპლად, მას შეუძლია საკითხის დასმა საჩივრების მექანიზმის ამ პროცედურის შესაბამისად.

ეს პოლიტიკა ხელმისაწვდომია [კომპანიის] ყველა თანამშრომლისთვის. დროდადრო რამდენიმე თანამშრომელი შეიძლება აღმოჩნდეს ერთი და იგივე ან მსგავსი გარემოებების ქვეშ, სადაც მათ შეიძლება უფრო ეფექტურად მიიჩნიონ კოლექტიური საჩივრის წარდგენა. ასეთ შემთხვევებში დაიწყება იგივე პროცედურა, როგორც ინდივიდუალური საჩივრის შემთხვევაში, აუცილებელი კორექტირებებით, და თანამშრომელთა ჯგუფის მიმართ

დამოკიდებულება ისეთი იქნება როგორც ერთი პირის მიმართ. საჩივრის შესახებ გაკეთდება ერთი შეტყობინება და ჯგუფის ყველა წევრს შეეძლება საჩივრის განხილვის შეხვედრაზე და გასაჩივრებაზე დასწრება.

პრინციპები

- შეძლებისდაგვარად მთელი ძალისხმევა მიმართულ უნდა იქნეს საჩივრების დროულად და არაოფიციალურად გადასაწყვეტად დისკუსიის და/ ან მედიაციის გზით. მედიაციის გამოყენებას წყვეტს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი (ან მისი წარმომადგენელი) და შესაბამის შემთხვევებში განიხილება.
- არაოფიციალური პროცესის წარუმატებლობის შემთხვევაში ყველა თანამშრომელს აქვს ოფიციალური საჩივრის წარდგენის უფლება.
- ყველა პრეტენზია სერიოზულად იქნება განხილული დაუსაბუთებელი შეფერხების გარეშე.
- არანაირი გადაწყვეტილება არ მიიღება მანამ, სანამ არ მოხდება ფაქტების დასადგენად დასაბუთებული მოკვლევა.
- საჩივრის წარმდგენ პირს უფლება აქვს თან ახლდეს წარმომადგენელი საჩივრის განხილვის ნებისმიერ შეხვედრაზე ან გასაჩივრების შეხვედრაზე ამ პროცედურის შესაბამისად. ეს წარმომადგენელი შეიძლება იყოს შრომითი გაერთიანების (პროფკავშირის) წარმომადგენელი ან კოლეგა.
- ნებისმიერ შეხვედრაზე წარმომადგენელს შეუძლია ჩართვა და კითხვების დასმა, მაგრამ მან არ უნდა გასცეს პასუხი კითხვებს თანამშრომლის სახელით.
- პირს, ვის მიმართაც წარდგენილია საჩივარი, ესაუბრებიან მოკვლევის ფარგლებში და მას შესაძლებლობა ექნება პასუხი გასცეს ყველა ბრალდებას ნებისმიერი საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.
- პროცედურის ნებისმიერ ეტაპზე, ან ეტაპებს შორის, მედიაცია შეიძლება მოთხოვნილი იქნეს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მეშვეობით.
- თანამშრომლები და მათი წარმომადგენლები უნდა დაესწრონ საჩივრის განხილვის სხდომებს მოთხოვნის შესაბამისად.

პროცედურა

თანამშრომელს შეუძლია პირველ რიგში მიმართოს საჩივრით თავის უშუალო ხელმძღვანელს. თუ თანამშრომელი გრძნობს რომ არ შეუძლია საუბარი თავის უშუალო ხელმძღვანელთან, ან თუ საჩივარი ეხება უშუალო მენეჯერს, ის შეიძლება გადაეგზავნოს ხელმძღვანელობის შემდეგ დონეს ან ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს. თანამშრომელს შეუძლია ესაუბროს ზედა რგოლის მენეჯერს ან ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს, საკითხის არაოფიციალური გადაჭრის ვარიანტების განსახილველად. ეს შეიძლება გაკეთდეს არაოფიციალური სიტყვიერი დისკუსიის საშუალებით. თუ თანამშრომლის არაოფიციალური მცდელობები საკითხის გადასაჭრელად წარუმატებელი აღმოჩნდება, მას შეუძლია დაიწყოს საჩივრის ფორმალური პროცესი.

1. თუ თანამშრომელი იწყებს საჩივრის ოფიციალურ პროცესს, მას შეუძლია საჩივრით მიმართოს ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს. ადამიანური

რესურსების მართვის დეპარტამენტი 7 სამუშაო დღის განმავლობაში შექმნის საჩივრის განხილვის კომიტეტს (შემდეგ - „კომიტეტი“) [XXX მენეჯერის] თანხმობით. კომიტეტის მუდმივი წევრები არიან ადამიანურ რესურსების მართვის და [კომუნიკაციების, იურიდიული და შიდა კონტროლის დეპარტამენტების წარმომადგენლები - საჭიროების მიხედვით წაშალეთ ან შეცვალეთ სახელები]. ნებისმიერი სხვა წევრი განისაზღვრება ბიზნესმიმართულების შესაბამისად. უპირატესობა ენიჭება დანაყოფს, რომელიც უფრო ახლოსაა დასაქმებულის სამუშაო სპეციფიკასთან. კომიტეტის ხელმძღვანელს ამტკიცებს [XXX მენეჯერი].

2. ადამიანურ რესურსების მართვის დეპარტამენტი დამოუკიდებლად ან / და კომიტეტის წევრების თხოვნით პასუხისმგებელია შეაგროვოს საჩივართან დაკავშირებული ძირითადი ინფორმაცია და გაუგზავნოს კომიტეტის თავმჯდომარეს. ეს ინფორმაცია: თანამშრომლის და უშუალო ხელმძღვანელის წერილობითი განმარტებები, საჩივართან დაკავშირებული სხვა დოკუმენტური მასალები.
3. კომიტეტის თავმჯდომარე წერილობით მიმართავს თანამშრომელს საჩივრის აღიარებით და მიიწვევს მას საჩივრის განხილვის სხდომაზე.
4. კომიტეტის შექმნიდან ათი (10) სამუშაო დღის ვადაში ინიშნება საჩივრის განხილვის სხდომა. კომიტეტი განიხილავს წარდგენილ დოკუმენტებს და / ან მოკვლევის მტკიცებულებებს. გარდა ამისა, კომიტეტს შეუძლია შეხვედრის მოთხოვნა თანამშრომელთან / უშუალო ხელმძღვანელთან ან საჩივართან რაიმე ფორმით დაკავშირებულ პირთან. კომიტეტს შეუძლია მეორე შეხვედრის მოთხოვნა უფრო ზუსტი გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველსაყოფად. კომიტეტის გადაწყვეტილებას განიხილავს და ამტკიცებს [XXX მენეჯერი].
5. საჩივრების შეხვედრას წარმართავს კომიტეტის თავმჯდომარე. თანამშრომელს სთხოვენ განმარტოს თავისი საჩივრის ხასიათი და როგორ ხედავს საკითხის მოგვარებას.
6. თუ თანამშრომელი ვერ ახერხებს სხდომაზე დასწრებას თავისგან დამოუკიდებელი გარემოებების გამო, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს დასახელებულ თავმჯდომარეს მაქსიმალურად დროულად და მოხდება სხდომის მოწვევა ორმხრივად მოსახერხებელ დროს. თუ თანამშრომელი ვერ დაესწრება შეხვედრას ახსნა-განმარტების გარეშე ან აღმოჩნდება, რომ მას არ გამოუჩენია საკმარისი ძალისხმევა სხდომაზე დასასწრებად, სხდომა შეიძლება ჩატარდეს თანამშრომლის დასწრების გარეშე.
7. სხდომის დასრულების შემდეგ, თანამშრომელს წერილობით ეცნობება შედეგი 10 სამუშაო დღის განმავლობაში. ის ასევე მიიღებს ინფორმაციას ნებისმიერი ღონისძიების შესახებ, რომლის შეთავაზებასაც აპირებს კომპანია საჩივრის შედეგად. კომიტეტის თავმჯდომარის პასუხისმგებლობაა საჩივრის განხილვის შედეგად შემოთავაზებული ნებისმიერი შედეგის შესრულების უზრუნველყოფა. საჭიროებისამებრ მოხდება შემოთავაზებული მოქმედებების მონიტორინგი და განხილვა. როდესაც არ ხდება თანამშრომლის საჩივრის დაკმაყოფილება, თავმჯდომარე უზრუნველყოფს უარის მიზეზების გულდასმით დასაბუთებას.
8. თუ თანამშრომელი არ არის კმაყოფილი კომიტეტის გადაწყვეტილებით, მას შეუძლია მიმართოს [XXX მენეჯერს]. გასაჩივრება უნდა განხორციელდეს წერილობით [XXX

მენეჯერის] წინაშე. თანამშრომელმა მკაფიოდ უნდა განმარტოს გასაჩივრების საფუძვლები. ეს უნდა გაკეთდეს საჩივრის შედეგების წერილობითი შეტყობინებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

9. თუ [XXX მენეჯერი] დაადგენს გასაჩივრების ჭეშმარიტი საფუძვლების არსებობას, ის წარადგენს შესაბამის მენეჯერს გასაჩივრების პროცესის განსახილველად. ეს უნდა იყოს მენეჯერი რომელსაც საჩივართან კავშირი არ აქვს. თუ [XXX მენეჯერი] მიიჩნევს, რომ გასაჩივრების არანაირი საფუძველი არ არსებობს, ის წერილობით მიმართავს თანამშრომელს, სადაც აღწერილი იქნება თავისი გადაწყვეტილების მიზეზები.

ადამიანური რესურსების და კომუნიკაციების დეპარტამენტის როლი

ადამიანურ რესურსების მართვის დეპარტამენტი პასუხისმგებელია ა) შეიმუშაოს ეს პოლიტიკა და შესრულების საშუალებები; ბ) უზრუნველყოს საჩივრების პოლიტიკასთან დაკავშირებული კომუნიკაცია; გ) კომპანიის მასშტაბით წარმართოს პოლიტიკის განხორციელების პროცესი; დ) უზრუნველყოს კომიტეტის ორგანიზება.

დოკუმენტების წარმოება

ადამიანურ რესურსების მართვის დეპარტამენტის პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს ზუსტი ჩანაწერების წარმოება. ასეთი ჩანაწერები უნდა შეიცავდეს:

- საჩივრის ხასიათს
- წერილობითი საჩივრის ასლს
- დამსაქმებლის პასუხს
- განხორციელებულ ღონისძიებებს
- განხორციელებული ზომების მიზეზებს
- ჰქონდა თუ არა ადგილი გასაჩივრებას და თუ ჰქონდა როგორი იყო შედეგი
- შემდგომ მოვლენებს

ჩანაწერები კონფიდენციალურად განიხილება, და ინახება განსაზღვრული ვადით კომპანიის შიდა პროცედურის შესაბამისად.

კონფიდენციალურობა

- თანამშრომლებმა, მათმა წარმომადგენლებმა, ნებისმიერმა მოპასუხემ და/ ან მოწმემ არ უნდა განიხილონ საჩივარი, მოკვლევის ან განცხადებების შინაარსი ნებისმიერ სხვა თანამშრომელთან ან მესამე პირთან საჩივრის განხილვის პროცესის მიღმა.
- სხდომებზე ხორციელდება ჩანაწერების წარმოება პროცესის მიმდინარეობის ასახვის მიზნით. ეს არ იქნება სტენოგრაფია, არამედ დისკუსიების მაქსიმალურად ზუსტი რეზიუმე. ყველა დოკუმენტის ასლი ინახება ადამიანურ რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ კომპანიის შიდა პროცედურის შესაბამისად.

ახალი ამბები

არსებითი ინფორმაცია საჩივრის შეტანის პროცედურის შესახებ გამოქვეყნდება კომპანიის შიდა პლატფორმის საშუალებით: გავრცელდება ელექტრონული ფოსტის და

კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, მათ შორის, საორიენტაციო პროგრამით და მენეჯმენტის წრთვით.

დანართი 9. ინციდენტზე რეაგირება: ზოგადი მითითებები

პროექტის ინციდენტი არის უბედური შემთხვევა ან უარყოფითი მოვლენა, რომელიც შედეგად მოჰყვება პროექტის განმახორციელებელი სუბიექტის მიერ ეროვნული და, გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპების სახელმძღვანელო დოკუმენტის მოთხოვნების ან პირობების შეუსრულებლობას, რაც განპირობებულია პროექტის განხორციელების პროცესში მოულოდნელი ან გაუთვალისწინებელი მოვლენებით. ინციდენტების მაგალითებია: მსხვერპლი, სერიოზული ავარიები და დაზიანებები; სოციალური ზემოქმედება შრომითი რესურსების შემოდინების შედეგად; სექსუალური ექსპლუატაცია და ძალადობა / სექსუალური შევიწროება ან გენდერული ძალადობის სხვა ფორმები; გარემოს ძირითადი დაზიანებები; ბიომრავალფეროვნების ან კრიტიკული ჰაბიტატის დაკარგვა; კულტურული მემკვიდრეობის დაკარგვა; საზოგადოების სერვისებზე წვდომის დაკარგვა.

ქვემოთ მოცემულია ინციდენტების შეტყობინების ძირითადი შაბლონი. პროექტის ოპერაციული სახელმძღვანელო მოიცავს უფრო დეტალურ მითითებებს ანგარიშების მომზადების, ძირეული მიზეზების ანალიზის და დამცავი ზომების მაკორექტირებელი გეგმების შესახებ:

1. პროექტის დასახელება; კრედიტორის, პროექტის პასუხისმგებელი მენეჯერისა და პროექტისათვის დანიშნული გარემოსდაცვითი და სოციალური სპეციალისტების სახელი;
2. ინციდენტის წინასწარი კლასიფიკაცია (იხ. ჩანართი 1 ქვემოთ)
3. რა იყო ინციდენტი? რა მოხდა? ვის ან რას შეემთხვა?
4. სად და როდის მოხდა ინციდენტი?
5. როდის და როგორ გავიგეთ ამის შესახებ?
6. არის თუ არა ინციდენტის ძირითადი ფაქტები ნათელი და უდავო, ან არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიები? როგორია ეს ვერსიები?
7. რა პირობებში ან გარემოებებში მოხდა ინციდენტი (თუ ცნობილია ამ ეტაპზე)?
8. ინციდენტი კვლავ მიმდინარეობს თუ შეკავდა?
9. არის თუ არა მსხვერპლი ან აქვს თუ არა ადგილი მძიმე დაზიანებას?
10. ცნობილია თუ არა სააგენტოსთვის („აწარმოე საქართველოში“) ინციდენტის შესახებ? როგორია მათი პასუხი დღეისთვის?
11. რა ზომები განხორციელა ან ხორციელდება კრედიტორის / კონტრაქტორის მიერ?

ანგარიში შეიძლება შეიცავდეს დამატებით კონტექსტურ კითხვებს, პროექტის ოპერაციული სახელმძღვანელოს შესაბამისად

1 -ლი ჩანართი: ინციდენტის კლასიფიკაციის სახელმძღვანელო

მნიშვნელობა

- შედარებით უმნიშვნელო და მცირემასშტაბიანი ლოკალიზებული ინციდენტი, რომელიც უარყოფითად აისახება მცირე გეოგრაფიულ არეალზე ან ადამიანების მცირე რაოდენობაზე
- არ იწვევს მნიშვნელოვან ან გამოუსწორებელ ზიანს
- შეთანხმებული E&S ღონისძიებების განუხორციელებლობა შეზღუდული და უყოვნებელი ზემოქმედებით

სერიოზული

- ინციდენტი, რომელმაც გამოიწვია ან შეიძლება პოტენციურად გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზიანი გარემოსთვის, მუშაკებისთვის, თემისთვის ან ბუნებრივი ან კულტურული რესურსებისთვის
- გარემოსდაცვითი და სოციალური ზომების განუხორციელებლობა, რასაც მოჰყვება მნიშვნელოვანი ზემოქმედება ან გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის განმეორებითი შეუსრულებლობით გამოწვეული ინციდენტები
- შეუსაბამობის ნიშნების გამოუსწორებლობა, რამაც შეიძლება პოტენციურად გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება
- კომპლექსურობა და/ან პროცესის გამოსწორებასთან დაკავშირებული მაღალი ხარჯები
- შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული დონის მდგრადი და ზიანება
- მოითხოვს გადაუდებელ რეაგირებას
- შეიძლება ბანკისთვის მნიშვნელოვანი რეპუტაციული რისკი შექმნას

მწვავე

- ნებისმიერი ფატალური შემთხვევა
- ინციდენტები, რომლებმაც გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს დიდი ზიანი გარემოსთვის, მუშაკებისთვის, თემისთვის ან ბუნებრივი ან კულტურული რესურსებისთვის
- სერიოზული შეუსაბამობის გამოუსწორებლობა, რამაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება, რომლის გამოსწორება შეუძლებელია
- სერიოზული შეუსაბამობის გამოუსწორებლობა, რამაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მწვავე ზემოქმედება; კომპლექსურია და/ხარჯიანი მისი გამოსწორება
- შეიძლება შედეგად მოჰყვეს გრძელვადიანი და ზიანების ან ზიანის მაღალი დონე
- მოითხოვს სასწრაფო და დაუყოვნებლივ რეაგირებას
- წარმოადგენს მნიშვნელოვან რეპუტაციულ რისკს ბანკისთვის.

ინციდენტების შესახებ უნდა ეცნობოს სააგენტოს („აწარმოე საქართველოში“) და მსოფლიო ბანკს, რომელიც მოამზადებს ანგარიშს გარემოსდაცვით და სოციალურ ინციდენტებზე რეაგირების ინსტრუმენტის მოთხოვნების შესაბამისად.